საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვები სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიბებით ბეჭთის გაფანა ყველა უკიდრისიბაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 18 ივლისი. 2018 წ. №144 (8545), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მუჭა-მუჭა გატანილი ქართული ოქრო...

„არეჯის“ 1800 კვადრატული კილომეტრი ოკუპირებული აქვს!

„საყდრისის კომიტეტი“ ადგილობრივი მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური კვლევის ჩატარებას ითხოვს

5

სახელმწიფო ინფექციური საავადმყოფოს იჯარაში

9

„ავერსს“ მილიონებს უხდის, თავად კლინიკა კი პაციენტებს თავზე ეგგრევათ!

გახარია და ცქიტიშვილი ვიცე-პრემიერებად დაინიშნენ

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში ორი ვიცე-პრემიერი იქნება. მთავრობის ადმინისტრაციის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის გადაწყვეტილებით, ვიცე-პრემიერებად შს მინისტრი **გიორგი გახარია** და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **მაია ცქიტიშვილი** დაინიშნენ.

შესაბამის ბრძანებებს მთავრობის მეთაურმა ხელი გუშინ მოაწერა.

დანაშაული ვის შერჩენია, ბოკერიას რომ შერჩეს?!.

3

ტრამპს თანაპარტიელები დაუპირისპირდნენ



აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის შესაძლო ჩარევასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო, დონალდ ტრამპს მოკავშირეები დაუპირისპირდნენ. განცხადება გაავრცელა სენატორმა და თეთრი სახლის ლიდერის მთავარმა მოკავშირემ ორინ ჰეჩმა:

„2016 წლის არჩევნებში რუსეთის ჩარევაზე ამერიკული სპეცსამსახურები ერთხმად თანხმდებიან. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა შემდეგი არჩევნები საგარეო ზეგავლენისგან დავიცვათ. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რას ამბობს ვლადიმერ პუტინი“, — განაცხადა ორინ ჰეჩმა.

ტრამპის კომენტარით უკმაყოფილოა მისი კიდევ ერთი თანაპარტიელი ჯეფ ფლეიკი: **„ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ დადგებოდა დღე, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუსეთის ლიდერის წინ იდგებოდა და რუსეთის აგრესიაში შტატებს დაადანაშაულებდა. ეს სამარცხვინოა“** — აცხადებს ფლეიკი.

ჰელსინკიში, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ის არჩევნებში რუსეთის შესაძლო ჩარევის საქმეზე ვლადიმერ პუტინის ვერსიის სჯერა.

მაკკეინის აზრით ჰელსინკის სამიტი „ტრაგიკული შემთხვევაა“



„დღეს ქვეყნის ისტორიაში ამერიკის პრეზიდენტის ყველაზე სამარცხვინო წარმოდგენის მომსწრენი გავხდით“, — ასე შეაფასა ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა ტრამპი-პუტინის შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებები. სენატორმა ჰელსინკის სამიტს „ტრაგიკული შეცდომა“ უწოდა.

„პრეზიდენტ ტრამპის ეგოიზმისა და ავტოკრატიის მიმართ სიმპათიის შეფასება რთულია, თუმცა ნათელია, რომ ჰელსინკის სამიტი ტრაგიკული შეცდომა იყო. დონალდ ტრამპი ვლადიმერ პუტინისთვის წინააღმდეგობის გაწევის საკითხში არამხოლოდ უუნაროა, არამედ აღმოჩნდა, რომ მას ამის სურვილიც არა აქვს. თითქოს ტრამპი და პუტინი ერთი და იმავე სცენარით მოქმედებდნენ და პრეზიდენტმა თავისუფალი პრესის სამართლიანი კითხვებისგან ტირანის დაცვა გადაწყვიტა. ამით კი პუტინს ტყუილის პროპაგანდის კარგი პლატფორმა შეუქმნა“, — აღნიშნულია ჯონ მაკკეინის საჯარო განცხადებაში.

ფონიჭალასა და ყარაჯალაში 7 ნარკორეალიზატორი დააკავეს

ამის შესახებ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ ისაუბრა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას აგრძელებს.

სამმართველოს თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის 13-16 ივლისს, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში და გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალაში ჩატარებული მასშტაბური ღონისძიებების შედეგად ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენის, შენახვისა და გასაღების ბრალდებით 7 პირი დააკავეს.

მიმდინარე წელს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება 1983 წელს დაბადებული გ.მ-ს, 1983 წელს დაბადებული კ.რ-ს, 1952 წელს დაბადებული გ.რ-ს, 1995 წელს დაბადებული თ.ნ-ს, 1983 წელს დაბადებული შ.ხ-ს, 1977 წელს დაბადებული რ.ი-ს და 1966 წელს დაბადებული თ.ა-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტებზე. გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველებმა აღნიშნული პირებისგან სხვადასხვა დროს გაცემული სასამართლო განჩინებების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერა.

დაკავებულთა საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა 18 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 2 პისტოლეტი, სანადირო თოფი, 2 ცალი ე.წ. „ინსულინის“ შპრიცი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი სითხით, მინის ფლაკონი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ ნალექით, ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატი „სუბოტექსი“, 10 010 ლარი, 26 200 აშშ დოლარი და 65.000 რუსული რუბლი ამოიღეს.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ჩვენ კარგად ვუგებთ ერთმანეთს, როგორც ორი უძველესი კულტურის მქონე ცივილიზებული ქვეყანა“

ძალიან ბედნიერი ვარ აქ ყოფნით — ამ სიტყვებით მიმართა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერჯო მატარელამ საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართული შეხვედრისას.

სერჯო მატარელამ, რომელიც საქართველოს პირველი ოფიციალური ვიზიტით სტუმრობს, პრემიერ-მინისტრს თბილი და მეგობრული დახვედრისთვის მადლობა გადაუხადა და ტყიბულის შახტში მომხდარი ტრაგედიის გამო მიუსამძიმრა.

შეხვედრისას იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ყურადღება ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე გაამახვილა და მზადყოფნა გამოთქვა სხვადასხვა სფეროში არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებისა.

„ჩემთვის საამაყოა, რომ ვარ პირველი სახელმწიფო მეთაური, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოვიდა. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან ვიზიტი ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლის იუბილეს. როგორც თქვენ აღნიშნეთ, ჩვენს ქვეყნებს ყველა დონეზე დიდი მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებს. პოლიტიკურ სფეროებში ჩვენ ყოველთვის ინტენსიური კონტაქტები გვქონდა, განსაკუთრებით კი, ურთიერთობები ბოლო წლებში გააქტიურდა.

ყველა საერთაშორისო ფორუმზე მჭიდრო კავშირი მყარდება საქართველოსა და იტალიის წარმომადგენლებს შორის. ეკონომიკურ სფეროში უკვე არსებობს თანამშრომლობა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან დიდი არეალი გვაქვს ასათვისებელი, ხოლო კულტურულ ნაწილში ჩვენ ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს, როგორც ორი უძველესი კულტურის მქონე ცივილიზაციის ქვეყანა.

ჩვენ ცოტა ხანში გადავინაცვლებთ ბიზნესფორუმზე. ეს გახლავთ ღონისძიება, რომელიც ჩვენს სურვილებს — სხვადასხვა სფეროში არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების შესახებ ხორცს შეასხამს. დიდი მადლობა მიღებისათვის,“ — მიმართა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობის მეთაურს.

თავის მხრივ, მამუკა ბახტაძემ სერჯო მატარელას საქართველოში ვიზიტს ისტორიული უწოდა და აღნიშნა, რომ იტალიის პრეზიდენტის სტუმრობა კარგი დასტურია ბოლო წლების განმავლობაში ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების ხარისხობრივად ახალ დონეზე გადაყვანისა.

მამუკა ბახტაძემ იტალიურ კომპანიებს მოუწოდა, კიდევ უფრო აქტიურად განიხილონ ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობა საქართველოში

საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა რეგიონში, რომელსაც პარალელურად აქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩინეთთან; ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ინდოეთთან, რომ უახლოეს მომავალში დავასრულოთ მოლაპარაკება და მათთან ერთად შევქმნათ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი, რაც, ვფიქრობ, საქართველოს მიმზიდველობას იტალიელი ინვესტორებისთვის კიდევ უფრო გაზრდის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საქართველო-იტალიის ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს უკვე 34 ქვეყანასთან აქვს ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება ინვესტიციების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ და ანალოგიურ შეთანხმებაზე კონსულტაციები იტალიასთან ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს.

„ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება იმისთვის, რომ ჩვენ კიდევ უფრო წავახალისოთ სავაჭრო ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის. მსურს, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო ფორუმის ყველა მონაწილეს, ბიზნესსექტორს. მე მქონდა ბედნიერება, ჯერ „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელის როლში, ხოლო შემდეგ ფინანსთა მინისტრის პოსტზე პირდაპირ მემუშავა იტალიურ კომპანიებთან. მათი მენეჯმენტის და გამოცდილების ხარისხი მართლაც ძალიან მაღალია, სწორედ ისეთი, როგორიც დღეს ჩვენ საქართველოში გვჭირდება, ისეთი, როგორიც პასუხობს იმ ეკონომიკურ გამოწვევებს, რაც დღეს გვაქვს ჩვენს ქვეყანაში. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ორმხრივი თანამშრომლობის შედეგად მნიშვნელოვნად გავზრდით სავაჭრო ურთიერთობებს ორ ქვეყანას შორის და, რაც მთავარია, ქალბატონებო და ბატონებო, მინდა, თითოეულ თქვენგანს ჰქონდეს განცდა, რომ საქართველო არის საიმედო პლატფორმა თქვენთვის, რომ თქვენ აკეთოთ ბიზნესი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში. ჩვენი რეგიონი არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი, ჩვენს რეგიონში არსებობს ძალიან მზარდი მოთხოვნა ევროპულ, მაღალხარისხიან პროდუქციაზე, რომელსაც იტალიური კომპანიები აწარმოებენ. აქედან გამომდინარე, მოგიწოდებთ, კიდევ უფრო აქტიურად განიხილოთ თქვენი ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობა საქართველოში“, —განაცხადა მამუკა ბახტაძემ. პრემიერ-მინისტრმა იტალიის პრეზიდენტ სერჯო მატარელას საქართველოსა და ქართველი ხალხის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველო საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის საკითხების განსახილველად მაღალი რანგის რეგიონალურ შეხვედრებს მასპინძლობს

17 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური შეხვედრა გახსნა. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საგადასახადო პოლიტიკის ცენტრის დირექტორი პასკალ სან-ამანსი.

ორდღიანი საერთაშორისო ფორუმის ორგანიზატორები და მასპინძლები არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური, საქართველოს პარლამენტი და ეროვნულ ბანკი, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD).

ფორუმის მუშაობაში 20 ქვეყნის ფინანსთა სამინისტროების, საგადასახადო ადმინისტრაციების, ეროვნული ბანკებისა და სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტის მაღალი რანგის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

რეგიონალური კონფერენციის მიზანია პარტნიორ ქვეყნებს შორის საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის გაღრმავება და რეგიონში საგადასახადო სფეროში არსებული საერთო მიდგომების შემუშავება. ამასთან, ფორუმის ფარგლებში დაგეგმილია საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა შინაარსის პანელის გამართვა და დისკუსიები. კონფერენციის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია არაერთი ორმხრივი შეხვედრა.

„საჯარო ინსტიტუტები უფრო ღია და ანგარიშვალდებული უნდა გავხადოთ მოქალაქეებისთვის“

საქართველოს პარლამენტი, საკონსტიტუციო საზედამხედველო ფუნქციის საფუძველზე, ყველაფერს გააკეთებს, რათა უზრუნველყოს საქართველოში ყველა კონსტიტუციური ორგანოს ღიაობის მაღალი ხარისხი“, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ საერთაშორისო კონფერენციაზე — „ღია პარლამენტის დღე“, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ღია მმართველობის პარტნიორობის მეხუთე გლობალური სამიტი უნიკალური შესაძლებლობაა იმისათვის, რომ გადავხედოთ ჩვენს ძალისხმევას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ საჯარო ინსტიტუტების უფრო ღია, უფრო ანგარიშვალდებული და მოქალაქეებისადმი უფრო პასუხისმგებლიანი გავხადოთ. თუმცა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ღია მმართველობის პარტნიორობის მეხუთე გლობალური სამიტი გვაძლევს შესაძლებლობას, კიდევ უფრო შორს გავიხედოთ მომავალში და ერთობლივად გავუმკლავდეთ იმ დარჩენილ გამოწვევებს, რომლებიც ჩვენი მოქალაქეების ინტერესის მრავალ სფეროში არსებობს“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საქართველოს სერბეთის პრემიერ-მინისტრი ეწვია

OGP-ის სამიტის ფარგლებში, საქართველოს სერბეთის პრემიერ-მინისტრი ანა ბრნაბიჩი ეწვია.

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვახტანგ მახარობლიშვილმა. ვახტანგ მახარობლიშვილმა ანა ბრნაბიჩს მადლობა გადაუხადა საქართველოში სტუმრობისთვის და OGP-ის სამიტზე სერბეთის მაღალი დონის მონაწილეობისთვის. ვიზიტის ფარგლებში ანა ბრნაბიჩი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან. დღეს კი სერბეთის პრემიერ-მინისტრი მონაწილეობას მიიღებს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ რიგით მეხუთე სამიტში.



საქართველოს პრემიერი ყირგიზ კოლეგას შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ყირგიზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ მუჰამედკალი აბილგაზიევს შეხვდა, რომელიც საქართველოს OGP-ის სამიტის ფარგლებში სტუმრობს.

ორი ქვეყნის მთავრობის მეთაურების პირისპირ შეხვედრისას, საუბარი შეეხო საქართველოსა და ყირგიზეთს შორის სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების გაღრმავებას, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებებით, აგრეთვე მხარეებმა მიმოიხილეს რეგიონში არსებული ვითარება.

პირისპირ საუბრის შემდეგ მოლაპარაკება გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა, სადაც ყირგიზეთის მხრიდან გამოითქვა სურვილი საქართველოში განხორციელებული რეფორმების გაზიარების კუთხით საქართველოს მთავრობასთან კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა.

განსაკუთრებულად აღინიშნა წარმატებული ეკონომიკური რეფორმები, აგრეთვე ხელისუფლების მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები ტურიზმის სექტორის განვითარების მიმართულებით. მხარეებმა მზაობა გამოთქვეს, რომ გააქტიურდეს მთავრობათაშორისი კონსულტაციების ფორმატი, რომლის ფარგლებშიც შეხვედრა უახლოეს მომავალში გაიმართება. მუჰამედკალი აბილგაზიევმა ქართველ კოლეგას მადლობა გადაუხადა OGP-ის სამიტზე მოწვევისათვის და აღნიშნა, რომ სამიტში მონაწილეობა კარგი შესაძლებლობაა ღია მმართველობის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების გაცნობისა.

თქვენამდე ვერ აღწევდა ხალხის ხმა?!

კორექტული შეკითხვა ბატონ ზვიად კვაჭანტირაძეს

ბატონო ზვიად, ბატონი თადუმაძის პროკურორად გამწესების გამო თქვენ კმაყოფილებით წერთ, რომ:

„ახლა უკვე მართლა მჯერა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდება და პროკურატურა რეალურად გახდება კანონიერების დამცველი ყველგან, ყველაფერში და, რაც მთავარია, ყველას მიმართ, გამონაკლისების გარეშე“.

გულწრფელად, ყოველგვარი ქვეტექსტებისა და ირონიის გარეშე გეკითხებით:

ეს განცხადება გახლავთ თუ არა იმის აღიარება, რომ:

— სამართლიანობის აღდგენის 6-წლიანი პროცესი ჭიანურდებოდა და ხასიათდებოდა უაღრესად სერიოზული ნაკლოვანებებით. მიზეზი?

— პროკურატურა აქამდე რეალურად არ გახლდათ კანონიერების დამცველი. რატომ, რა და ვისი მიზეზით?

— აქამდე არა, მაგრამ პროკურატურა აწ თურმე „გახდება კანონიერების დამცველი ყველგან, ყველაფერში და რაც მთავარია, ყველას მიმართ, გამონაკლისების გარეშე“, ანუ აქამდე ადგილი ჰქონდა შერჩევით სამართალს... თუ ეს ასეა (და ამაში საქართველოში არა მგონია, ეჭვი ვინმეს ეპარებოდეს), კონკრეტულად ვინ და სად, რომელ დონეზე ამუხრუჭებდა ამ პროცესს?

— ჰქონდა თუ არა ზოგადად პროკურატურას და კონკრეტულად მის ხელმძღვანელს შოთაძეს, აგრეთვე, მის წინამორბედებს — ბადაშვილს, „ბოტას-მცოდნე“ ფარცხალაძეს, კბილაშვილს შესაბამისი კომპეტენცია, უფლებამოსილება და ნება, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაჩქარებულიყო?!

და აქედან გამომდინარე:

— აქვს თუ არა რეალური საფუძველი მოსახლეობის აშკარა უკმაყოფილებას პროკურატურის საქმიანობის გამო?

— მაშინ, როცა მედია, საზოგადოება არ ერიდებოდა ხმამაღალ საყვედურს იმის გამო, რომ სამართალი პურს არ ჭამს და ეს საყვედური გვესმოდა ყველას, ყველას, ყველას! დავიჯერო, რომ თქვენამდე არ აღწევდა ეს ხმა?

ჰოდა, საინტერესოა, რატომ, რის საფუძველზე, რა მოსაზრებით მისტირის „ქართული ოცნება“, მისი ზოგიერთი ლიდერი და სახე (ჩამოვთვალო?) ექსპროკურორრ შოთაძეს, ე.წ. კომპეტენტურობას და პატიოსნებას სწორედ იმ მაღალჩინოსნისას, ვისი სიბრიყვის შედეგი გახლდათ მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები პარლამენტის წინ, რასაც მოჰყვა მთავრობის გადადგომა თავის პრემიერ-მინისტრიანად და საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომლის სხდომების ტრანსლაცია აშკარა კონკურენციას უწევს ცნობილ სერიალს — „ჩემი ცოლის დაქალებს“.



გიდასტურებთ პატივისცემას!

ნუგზარ ფოფხაძე

მთავარ პროკურატურაში ქუმსიშვილი და ალავიძე გამოჰკითხეს

მთავარ პროკურატურაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი ზურაბ ალავიძე გამოჰკითხეს.

არსებული ინფორმაციით, ისინი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცალკეულ მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისება/გაფლანგვის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოიკითხნენ.

„ყაზბეგის ოკუპაცია“ და ჟურნალისტი გიორგი გვიშიანი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტის გიორგი გვიშიანის გამოკითხვა თითქმის 4 საათი გაგრძელდა. საქმე ეხება იმ სატელეფონო ზარს, რომელიც გვიშიანთან კვირას ღამით შევიდა და უცნობმა პირმა მას ქართული და რუსული სპეცსამსახურების ერთობლივი გეგმის შესახებ მოუყვა. უცნობმა გვიშიანს რუსული სატელეფონო კოდის ნომრიდან დაურეკა და რუსულ ენაზე აცნობა, რომ იგეგმება ყაზბეგის ოკუპაცია:

„მივეცი უფლება, რომ დაეთვალიერებინათ ჩემი ტელეფონი, ენახათ შემომავალი ზარები, აინტერესებდათ, ვიცნობდი თუ არა იმ ადამიანს, ვინც მესაუბრა, რატომ შეიძლებოდა დაერეკა ჩემთან... ყველა ინფორმაცია, რაც ხელთ მქონდა მივაწოდე,“ — განაცხადა გვიშიანმა სუს-ის შენობიდან გამოსვლის შემდეგ.

სუს-ის და ჩატაევის თანამშრომლობა ციხეში

ციხეში ტერორიზმში ბრალდებული რამაზ მარგოშვილი დაიკითხა. საქმე ეხება მის მიერ რამდენიმე დღის წინათ მიცემულ სკანდალურ ჩვენებას, რომლის მიხედვითაც, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებულ სპეცოპერაციამდე სუს-ი აჰმედ ჩატაევთან საიდუმლოდ თანამშრომლობდა.

მარგოშვილი კონტრტერორისტული დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მის მიმართ მუქარაშიც ადანაშაულებს.

„ჩვენება შეეხებოდა კონკრეტულად სპეცსამსახურების მაღალჩინოსნებს. როგორ აძალებდა ირაკლი ჩიმაკაძე ხვიჩა ლორიასთან ერთად ეთანამშრომლა და ურთიერთობები ჰქონოდა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან. ირაკლი ჩიმაკაძემ ჩაიყვანა სარდაფში და იარაღის გამოყენებით განახორციელა მუქარა რამაზ მარგოშვილის მიმართ,“ — ამბობს ადვოკატი ინგა ბოლოთაური.

პატრიარქი დაღუპული მაღაროელების ოჯახებს უსამძიმრებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ტყიბულში, მინდელის შახტში დაღუპულთა ოჯახის წევრებს უსამძიმრებს.

„მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა მინდელის მაღაროში ა.წ. 16 ივლისს მომხდარი ტრაგედიის გამო. აღვავლენთ ლოცვას, რათა მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა სავანესა მართალსა დააწესოს ლაშა ფორჩხიძის, ბადრი(ბაჩო) ქარქაშაძის, მიხეილ(მიხო) გამეზარდაშვილის, მურმან ლილუაშვილის უკვდავი სულნი, ხოლო მათ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიანიჭოს მშვიდობა და ჭირსა შინა მხნეობა“, — აღნიშნულია პატრიარქის სამძიმრის წერილში.

ითხოვენ, ხელფასების ანაზღაურების შესახებ პრემიერ-მინისტრის ინიციატივა დოკუმენტურად გაფორმდეს

ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტთან მეშახტეები აქციას გამართავენ და პრემიერ-მინისტრის ინიციატივის, რომელიც შახტის დახურვის პერიოდში დასაქმებულებისთვის ხელფასების გაცემას გულისხმობს, წერილობითი დოკუმენტის სახით გაფორმებას მოითხოვენ.

„ვითხოვთ წერილობით დაგვიდასტურონ, რომ ვიდრე გამოძიება დასრულდება და შახტები გაიხსნება, დაპირებულ ხელფასებს ნამდვილად მივიღებთ“, — აცხადებს ერთ ერთი მეშახტე.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, გამოძიების დასრულებამდე ტყიბულის მაღარო დაიხურა. როგორც მამუკა ბახტაძის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ვიდრე მაღარო დახურული იქნება, დასაქმებულებს ხელფასი აუნაზღაურდებათ.

მეშახტეებს კანის გადანერგვის ოპერაციებს ჩაუტარებენ

მინდელის სახელობის მაღაროში დაშავებულ ორ მეშახტეს ხელის მტევნების ფუნქციის შენარჩუნებისთვის კანის გადანერგვის ოპერაციებს ჩაუტარებენ. ერთ პაციენტს ოპერაცია დღეს, ხოლო მეორეს — ხვალ ჩაუტარდება.

„ორი პაციენტის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, მათ მსუბუქი დაზიანებები აქვთ და რამდენიმე დღის შემდეგ ისინი თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდებიან. რაც შეეხება ორ მძიმე პაციენტს, რომლებიც დამწვრობის ცენტრის რეანიმაციაში არიან მოთავსებულები, მათი მდგომარეობა ასევე მძიმედ რჩება. ახლა გადაწყდა, რომ ერთ პაციენტს კიდურებზე კანის გადანერგვის ოპერაცია ჩაუტარდება, ორივე მტევანზე ფუნქციის შენარჩუნების მიზნით, ხოლო მეორე პაციენტისთვის იგივე ოპერაცია ხვალისთვის არის დაგეგმილი“, — განუცხადა ჟურნალისტებს დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელმა გუგა ქაშიბაძემ.

◎ სამართალი თავისას ითხოვს!

დანაშაული ვის შერჩენია, ბოკერიას რომ შერჩეს?!..

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ გააკეთა არჩევანი, რომელსაც თამამად შეიძლება „რევოლუციური არჩევანი“ ვუწოდოთ. არჩევანი, რომლითაც დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით უარი თქვა — სიკვდილზე, წამებაზე, ძალადობაზე.

სამწუხაროდ, რევოლუციის მთავარი პოსტულატების თანახმად, გამოჩნდა, რომ შედეგებით „ნაციონალები“ სარგებლობენ და რევოლუცია თავის შემოქმედთ ჭამს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული რევოლუციები მუდამ მიმდინარეობდა პრინციპით — „ფოთოლიც არ ჩამოვარდეს!“, რეალური შედეგი საზოგადოების მოთხოვნების აშკარად საწინააღმდეგოდ დადგა.

გიგა ბოკერია, რომელიც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მთავარი იდეოლოგიური შემოქმედი იყო, დღესაც „ჩოხაშია“ და „თეთრ ცხენზე მჯდარი“ იბრძვის იმ გავლენის მოსაპოვებლად, რასაც მისი ფსიქიკური მდგომარეობა მოითხოვს.

ერთადერთი ძალა, რომელიც აშკარად უპირისპირდება „ბოკერვილების“ ახალ შემოტევას, საქართველოს „პატრიოტთა ალიანსია“, რომელმაც საქართველოს პარლამენტში სპეციალურად დაყენებული მონიტორით მთელ საქართველოს გაახსენა გიგა ბოკერიას უშუალო მონაწილეობა სულხან მოლაშვილის წამებაში. ჩვენმა გაზეთმა ამ რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა საქართველოს „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ შემუშავებული რეზოლუციის ტექსტი, რომელსაც საკანონმდებლო სახე უნდა მიეცეს და რომელიც მთელ საქართველოში ამ პოლიტიკური ძალის მიერ მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრებით არის გამყარებული.

საქართველოს „პატრიოტთა ალიანსი“ პერმანენტულად ახორციელებს შეხვედრებს მოსახლეობასთან, სადაც ანგრევს გაყიდული მედიის დანერგილ სტანდარტებს და ხალხის რეალური ხმა მიაქვს საკანონმდებლო დონეზე.

ალიანსის გენერალური მდივნის, ქალბატონი ირმა ინაშვილის მიერ ჩატარებული შეხვედრები 2018 წლის ზაფხულის პერიოდში:

1. 27.06.18 წ. — მარტვილი; 2. 28.06.18 წ. — აბაშა; 3. 30.06.18 წ. — ზუგდიდი; 4. 1.07.18 წ. — ფოთი; 5. 2.07.18 წ. — ჩხოროწყუ; 6. 2.07.18 წ. — წალენჯიხა; 7. 3.07.18 წ. — ოზურგეთი; 8. 7.07.18 წ. — პანკისის ხეობა, სოფელი ჯოყოლო; 9. 7.07.18 წ. — ახმეტა; 10. 7.07.18 წ. — თელავი; 11. 9.07.18 წ. — ტყიბული; 12. 9.07.18 წ. — სამტრედია; 13. 10.07.18 წ. — ხარაგაული; 14. 10.07.18 წ. — ზესტაფონი, სოფელი ცხრაწყარო; 15. 10.07.18 წ. — თერჯოლა; 16. 11.07.18 წ. — ქუთაისი; 17. 16.07.18 წ. — საჩხერე, სოფელი სავანე; 18. 17.07.18 წ. — საჩხერე, სოფელი ჭალა; 19. 16.07.18 წ. — ჭიათურა.

ეს არის არასრული სია იმ ხალხისა, ვინც მოითხოვს რეალურ დამნაშავეთა დასჯას, იმ დამნაშავეთა დასჯას, რომლებიც შეეფარნენ ე.წ. კოჰაბიტაციის ქოლგას და დღესაც ცდილობენ, დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და დაამყარონ უფრო უარესი რეჟიმი, რასაც ნებისმიერი რევანშისტი დაამყარებდა.

გია გაბრიჭიძე

მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას ცოდნა უნდა!

საქართველოში სამგზავრო ტრანსპორტის ყველაზე დაზიანებული სეგმენტია საავტომობილო ტრანსპორტი. მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად წინა და მოქმედი ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა. კერძოდ, სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტზე უსაფრთხოების ქამრებისა და მძღოლებისთვის მართვის მოწმობებზე ქულათა სისტემის შემოღება, ქალაქებსა და საქალაქთაშორისო მაგისტრალებზე ვიდეოკონტროლის დაწესება, „ჭკვიანი“ კამერების დაყენება, სანქციების გამკაცრება ცალკეული სახის დარღვევებისათვის, განსაკუთრებით სიმთვრალის შემთხვევების დროს და სხვა, რომლებმაც გარკვეული შედეგები მოგვცეს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის დამოუკიდებელობის გამოცხადების შემდგომ პერიოდში, ქვეყნის მართვის ვერცერთ დონეზე ვერ ჩამოყალიბდა სატრანსპორტო შემთხვევათა მიზეზების განხილვისა და პრევენციის სისტემა. საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებს მრავალი ფაქტორი განაპირობებს: მძღოლი, მანქანა, გზა, გარემო, მოძრაობის რეგლამენტირება, კონტროლი და სანქციები, სამედიცინო დახმარების ორგანიზება და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრევენციის ღონისძიებების შემუშავება და მისი რეალიზაცია ერთი რომელიმე უწყების ფარგლებში შეუძლებელია. საბჭოთა სისტემისა და განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს დონეზე ტრანსპორტის კურატორ ვიცე-პრემიერთან უნდა ფუნქციონირებდეს ტრანსპორტის მუდმივმოქმედი კომისია, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა უწყების – შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის, ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის სამინისტროების, სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო ტრანსპორტის საააგენტოებისა და სხვა დაინტერესებული უწყებების/ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისია განიხილავს ტრანსპორტზე მომხდარ მძიმე შედეგებით დამთავრებულ სატრანსპორტო შემთხვევებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს; აანალიზებს წლის, კვარტალის განმავლობაში ქვეყანაში მომხდარ სატრანსპორტო შემთხვევებს და შეიმუშავებს ღონისძიებებს მათი შემცირებისათვის. აგრეთვე, შეისწავლის ტრანსპორტის მოძრაობით გარემოზე მიყენებულ ზიანს – ატმოსფეროს დაბინძურების მდგომარეობას და ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ანალოგიურად, ხელისუფლების ადგილობრივ დონეზე გუბერნატორებთან ან რაიონულ გამგეობებთან/ქალაქის მერიებთან უნდა ფუნქციონირებდეს შესაბამისი სატრანსპორტო კომისიები. აღნიშნული კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს და დამტკიცდეს კომისიების დებულებები. პარლამენტი კი წელიწადში ერთხელ მაინც, უნდა იხილავდეს საგზაო შემთხვევების ანალიზს და, საჭიროების შემთხვევაში, შეჰქონდეს სათანადო ცვლილებები კანონმდებლობაში.

ქვეყანაში ყოველწლიურად საქალაქთაშორისო საავტობუსო მარშრუტებზე 2-3 სატრანსპორტო შემთხვევა მაინც უმძიმესი შედეგებით მთავრდება. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საერთო სარგებლობის სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გადამზიდავების პასუხისმგებლობის ამაღლებას.

პირველ რიგში, უნდა შეიცვალოს ავტოტრანსპორტის შესახებ კანონის 1 მუხლის მე-8 და მე-11 პუნქტები, რომლებიც უფლებას აძლევენ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მგზავრთა გადაყვანა აწარმოონ როგორც რეგულარულ მარშრუტებზე, ისე არარეგულარულზეც.

ჩვენი აზრით, აუცილებელია გაიმიჯნოს რეგულარულ მარშრუტებზე (საქალაქო, საქალაქთაშორისო) მგზავრთა გადაყვანა არარეგულარული გადაყვანებისაგან, რადგან რეგულარულ მარშრუტებზე ფიზიკური პირების მუშაობა ეწინააღმდეგება მეწარმეობის შესახებ კანონის მოთხოვნებს, მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად და ორგანიზებულად განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა, დაადგინონ მარშრუტზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, განსაზღვრონ ბრუნვის დრო და ინტერვალი, რომელზეც დამოკიდებულია შემოსავალი და მოგების ოდენობა. აღნიშნულს ადასტურებს 2010 წლამდე თბილისის სამარშრუტო ტაქსებზე შექმნილი მდგომარეობა, როდესაც ინდმეწარმეები ფლობდნენ სამარშრუტო ხაზებს, ხოლო მარშრუტზე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობას კორუფციის ინტერესებიდან გამომდინარე განსაზღვრავდა ჯერ შპს „თბილტრანსი“, ხოლო შემდეგ მერიის საქალაქო სამსახური. ამან განაპირობა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, ქალაქი ვალდებული გახდა „არაუგვიანეს 2008 წლის 30 ივნისისა, დაესრულებინა მიკროავტობუსების ყველა მარშრუტის ტენდერით გადაცემა კერძო სექტორის ოპერატორებისთვის“... რეგულარულ მარშრუტებზე მუშაობის უფლებამოსილება კონკურსის შედეგად უნდა მოიპოვონ მხოლოდ იურიდიულმა პირებმა – გადამზიდავებმა. ამიტომ გამოაცხადა თბილისის მერიამ 2010 წელს კონკურსი იურიდიული პირებისთვის.

ამასთან, კანონმდებლობით ან ნორმატიული აქტით უნდა განისაზღვროს მგზავრთა გადამყვანი იურიდიული პირის უფლება-მოვალეობანი. იგი პასუხისმგებელი უნდა იყოს მარშრუტზე, სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის სიჩქარის ნორმირებაზე, განრიგისა და მომსახურების ნორმების დაცვაზე, ხაზზე გასული სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობასა და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, გააჩნდეს სარემონტო ბაზა, საწვავის გასამართი სადგური, მოწესრიგებული უნდა იყოს მგზავრთა აღრიცხვიანობა, შემოსავალი იყოს გამჭვირვალე და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლიდან ტენდერში გამარჯვებული თბილისის სამარშრუტო ტაქსების ფირმები დღემდე არ ასრულებენ ამ ფუნქციებს, ისინი დაკავებული არიან მხოლოდ ხაზების გაქირავების საზღაურის შეგროვებით, მგზავრთა აღრიცხვიანობა მოშლილია, შემოსავლები – გაუმჭვირვალე, მერია და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური კი არავითარ რეაგირებას არ ახდენენ.

დღეს საგზაო შემთხვევების დროს პასუხისმგებლობა მხოლოდ მძღოლს ეკისრება, მგზავრთა გადამყვანი ფირმა თითქოს არ არსებობს. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ეს საკითხი ელემენტარულად წესრიგდება: საგზაო შემთხვევებით დაზიანებულ ფირმებს უძვირდებათ დაზღვევის გადასახადი. ფირმა იძულებული ხდება, დამატებითი სახსრები მიმართოს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაკოტრდება. გასული საუკუნის 80-იან წლებში საფრანგეთში საქალაქთაშორისო მარშრუტებზე საგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით ავტობუსები აღიჭურვა სპეციალური მოწყობილობით, რომელიც მარშრუტის მთელ სიგრძეზე იწერდა მოძრაობის სიჩქარეს, რომელსაც რეისის დამთავრების შემდეგ ამოწმებდა ექსპლუატაციის სამსახური. დარღვევის შემთხვევაში მძღოლის მიმართ ტარდებოდა მკაცრი სანქციები.

ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ შეიცვლება კანონმდებლობა და საქალაქთაშორისო მარშრუტების ორგანიზების უფლებამოსილება გადაეცემა ადგილობრივ ხელისუფლებას, სახმელეთო ტრანსპორტის საააგენტოს უბრალოდ არ გააჩნია არავითარი ბერკეტი საქალაქთაშორისო გადაზიდვების მართვა-რეგულირებისთვის. ავტოსადგურები და სატრანსპორტო საშუალებები კერძო საკუთრებაა, ტერიტორია კი, სადაც მოძრაობა ხორციელდება, ან ადგილობრივ ხელისუფლებას ეკუთვნის ან ინფრასრუქტურის სამინისტროს. თუ ადგილობრივი ხელისუფლებას მიენიჭება მარშრუტების ორგანიზების უფლებამოსილება, მაშინ შესაძლებელი გახდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის მოლაპარაკების გზით და ურთიერთინტერესების გათვალისწინებით მოწესრიგდეს საქალაქთაშორისო გადაზიდვები, აღდგენილ იქნას შიდა რაიონული მარშრუტები და მცირე ტევადობის ავტობუსების ნაცვლად მგზავრთნაკადების ათვისებისათვის საჭირო ტევადობის ავტობუსებით ერთმანეთს დავაკავშიროთ ქალაქები და რაიონული ცენტრები სამხარეო ცენტრებსა და დედაქალაქთან. ამის შედეგად შემცირდება მაგისტრალებზე ავტობუსების მოძრაობის სიხშირე და შესაბამისად საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა მოხდენის ალბათობა, განიტვირთება თბილისის პროსპექტები და გზები საქალაქთაშორისო ავტობუსების მოძრაობისაგან და ავტოსადგურებისაგან. ძველი სატრანსპორტო კომპლექსური სქემით თბილისში ორი ავტოსადგური უნდა ყოფილიყო: აღმოსავლეთის მიმართულებით ორთაჭალის და დასავლეთის მიმართულებით დიდი დიღმის ტერიტორიაზე. ქალაქში საერთოდ არ უნდა ემოძრავა საქალაქთაშორისო ავტობუსებს. თბილისში ამ მიმართულებით შექმნილ მდგომარეობას ყველაზე კარგად ახასიათებს მეტრო დიდუბის ქვევით მოედანზე შექმნილი მდგომარეობა: მის ანალოგს ძნელად იპოვით, ალბათ, განვითარებულ ქვეყნებში.

როგორც ცნობილია, მოძრაობაზე კონტროლის გასაძლიერებლად მიმდინარეობს მაგისტრალებზე „ჭკვიანი“ კამერების დამონტაჟება. რაც, რა თქმა უნდა დადებით შედეგს გამოიღებს. თუმცა უნდა, აღინიშნოს ისიც, რომ დროთა განმავლობაში დარღვევების გამოვლენა შემცირდება, რადგან მძღოლებისთვის ცნობილი გახდება დარღვევათა აღრიცხვის ადგილები.

ზოგადად, მძღოლის ცნობიერებაზე ზემოქმედებისთვის ზოგიერთ მაგისტრალზე შეიძლება, დავნერგოთ იაპონიის გამოცდილება: მაგიტრალზე განთავსებულ ზოგიერთ ჯიხურში ზის პოლიციელი, უმრავლესობაში კი პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი მანეკენი. მაგისტრალს ემსახურება ერთი მსუბუქი მანქანა და პოლიციელები დღის პერიოდში სისტემატურად იცვლიან ჯიხურებს.

არარეგულარულ მარშრუტებზე მუშაობის უფლება აქვთ ფიზიკურ პირებს, მაგრამ კანონით უნდა იყოს განსაზღვრული ხაზზე გასვლის წინ სად შემოწმდეს მანქანის გამართულობა და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

დაბოლოს, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების წლიური მატება არ იძლევა განგაშის საფუძველს, არც მილიონ მოსახლეზე გაანგარიშებული საგზაო შემთხვევათა მეტი რაოდენობა სხვა ქვეყნებთან შედარებით. უფრო ზუსტ სურათს მოგვცემს, თუ შევადარებთ 100.000 ავტომობილზე მოსულ შემთხვევათა რაოდენობას. კიდევ უფრო სრულყოფილი იქნება სურათი, თუ შევადარებთ ერთ მილიონ კილომეტრ გარბენზე მოსულ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებს. სამწუხაროდ, დღესდღეობით ეს შეუძლებელია, რადგანაც გარბენებზე მონაცემების აღება ტექნიკური დათვალიერების დროს წარმოებს.

საბჭოთა პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებობდა მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო ცენტრი, დაკომპლექტებული კვალიფიციური სპეციალისტებით, რომელიც 90-იან წლებში გაუქმდა, კარგი იქნებოდა, თუ მოხერხდება მისი აღდგენა.

ზაურ კაჭარავა,
ტ. 555 268 990.

სასწრაფო „პედიატრი“ აქციის ფარგლებში ბავშვებს ბინაზე უფასოდ მოემსახურება

ბავშვთა სასწრაფო სამედიცინო დახმარება „პედიატრი“ თბილისში უფასო აქციას გამართავს. 16 ივლისიდან ორი თვის განმავლობაში, კერძო დაზღვევის არმქონე 0-16 წლის ასაკის პაციენტებს, საშუალება ექნებათ სრული პედიატრიული და ამბულატორიული სერვისი ბინაზე უფასოდ მიიღონ და ბავშვს პოლიკლინიკის სტრესული გარემო აარიდონ.

პედიატრიული მომსახურების მიღება შესაძლებელია 16112 - ნომერზე დარეკვით ნებისმიერი ქსელიდან, ყოველგვარი წინსართის გარეშე. ქოლ-ცენტრის მიერ შეფასდება პაციენტის მდგომარეობა და პედიატრები საჭირო მომსახურებას დაგეგმავენ. ექიმი პედიატრის დახმარებით მოხდება დაავადების შესაბამისი მკურნალობის დანიშვნა და მისი შემდგომი პატრონაჟი. სასწრაფო „პედიატრის“ უფასო აქცია 31 აგვისტომდე გაგრძელდება.

აეროპორტში ახალი კვების ობიექტი „ბადია“ გაიხსნა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი კვების ობიექტი „ბადია“ გაიხსნა. თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერატორი კომპანია „ტავ ჯორჯიას“ ინფორმაციით, ახალი ობიექტი აეროპორტის გაფრენის დარბაზშია განთავსებული.

კაფე „ბადია“ მგზავრებს ტრადიციული ქართული კერძების ფართო არჩევანს სთავაზობს. მყუდრო გარემოში მგზავრებს ქართული ღვინის დაგემოვნებაც შეუძლიათ. კაფეს სახელიც ღვინოსთან არის კავშირში და სპეციალურად შეირჩა, „ბადია“ ღვინის ტრადიციული ჭურჭელია, რომელსაც საქართველოში საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ.

„არემჯის“ 1800 კვადრატული კილომეტრი ოკუპირებული აქვს...

„საყდრისის კომიტეტი“ ადგილობრივი მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური კვლევის ჩატარებას ითხოვს

ორგანიზაცია „საყდრისის კომიტეტის“ წევრები საუბრობენ იმ ზიანზე, რომელიც, მათივე ინფორმაციით, „არემჯი გოლდის“ საქმიანობის შედეგად ადგება ქვემო ქართლში უნიკალურ ტყის მასივებს და კულტურულ მემკვიდრეობას, მოსახლეობის ჯანმრთელობას... ამ თემაზე „საყდრისის კომიტეტის“ წევრს ნინო ბურჭულაძეს ვესაუბრებით.

– 2014 წლის 13 დეკემბრის შემდეგ, რაც „არემჯი გოლდმა“ ხელისუფლების ხელშწყობით მსოფლიოში უნიკალური ოქროს მაღარო, საყდრისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ააფეთქა, საყდრისის კომიტეტი ამ კომპანიის საქმიანობით უფრო მეტად დავინტერესდით. კულტურული მემკვიდრეობისთვის ბრძოლის გარდა, ჩვენ აქტიურად ჩავერთეთ გარემოსთან დაკავშირებული დარღვევების მოძიებაში.

ამ მხრივ, მანამდეც სერიოზული კვლევები არსებობდა, მათ შორის, ფოლცვაგენის ფონდის მიერ ჩატარებული, ასევე რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევა, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა ჩაატარეს. სადაც ღიად აღნიშნავდნენ, რომ „არემჯის“ საქმიანობით გარემოს ხელყოფის, დაბინძურების არაერთი ფაქტი იყო.

2015 წლის ბოლოს, უკვე გარემოს დაცვის სამინისტრომ კომპანიის ინსპექტირება დაიწყო და 2016 წლის გაზაფხულზე დაამთავრა. ამის შედეგად დაიდო სამინისტროს დასკვნა, რომელიც საკმაოდ მძიმეა. თუ „არემჯი“ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა კვლევებს არ ენდობოდა, ამჯერად უკვე სახელმწიფოს მიერ დაწერილი დასკვნა გვქონდა, რომელიც ფაქტობრივად აღიარებდა, რომ „არემჯი გოლდის“ საქმიანობას გარემოსთვის ძალიან მძიმე შედეგები მოჰქონდა.

ამ დასკვნით აღმოჩნდა, რომ კომპანიას არც ერთი ვალდებულება არ ჰქონდა შესრულებული, როგორც გარემოს დაცვის კუთხით, ასევე თანამშრომელთა შრომითი უსაფრთხოების თვალსაზრისით. აღინიშნებოდა, რომ ამ მხრივ კომპანიას ფაქტობრივად არაფერი ჰქონდა გაკეთებული. კვლევით აღმოჩნდა, რომ ნიადაგიც საკმაოდ დაბინძურებული იყო, ასევე მდინარეები, წყალი.

ბოლოს, 2017 წლის მაისიდან ნოემბრამდე, მწვანე პოლიტიკის საზოგადოებრივმა პლატფორმამ ჩაატარა სერიოზული კვლევა, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერებიც ჩაერივნენ. მაჩვენებლები იმდენად საგანგაშო იყო, რომ ამან ყოველგვარ მოლოდინებს გადააჭარბა.

მეცნიერ-ექსპერტები გვარწმუნებენ, რომ მდინარე ფოლადაურის ცალკეულ ადგილებში კადმიუმი დაშვების ზომას უკვე ათასჯერ აღემატება! უბრალოდ, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაა. გარდა ამისა, დასკვნამ გვიჩვენა, რომ ამ დაბინძურების არეალი კომბინატის ახლომდებარე ტერიტორიებს გასცდა და ამჟამად უკვე 25 კილომეტრზე არის გავრცელებული. ანუ, 25 კმ-ის რადიუსით დაბინძურებულია წყალი, ნიადაგი და ჰაერი!

კვლევის შედეგები იმდენად საგანგაშოა, რომ წარმოუდგენელია ეს ყველაფერი ასახული არ იყოს ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ამიტომ საყდრისის კომიტეტი უკვე ორი წელია, ითხოვს ადგილობრივი მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური კვლევის ჩატარებას, რათა გამოჩნდეს, არის თუ არა კავშირი კომბინატის საქმიანობასა და ამ რეგიონში მომატებულ მძიმე დაავადებებს შორის. აქ საუბარია ონკოლოგიურ, სასუნთქი გზების და სხვა მძიმე დაავადებებზე.

აქცენტი ამ კონკრეტულ დარღვევებზე კეთდებოდა. მაგრამ მერე გამოიკვეთა, რომ „არემჯი გოლდი“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე უკანონო მშენებლობებს ახორციელებდა და ა.შ.

– რა გავლენა აქვს ამ კვლევების შედეგებს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე მთავრობის რეაგირებაზე?

– შარშან, 2017 წლის თებერვალში „არემჯიმ“ გამოაცხადა, რომ ახალ პროექტს იწყებდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ბნელი ხევის ტერიტორიაზე (ხრამის ხეობა). ეს ბნელი ხევი სავსეა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, სადაც ყველაზე ცნობილი ფიტარეთის მონასტერი და ხულუწის ციხეა. სწორედ აქ იწყებს კომპანია ღია კარიერული წესით ოქროს მოპოვებას. თებერვალში სურვილი გამოთქვეს, ხოლო მარტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის შემდეგ თვეში, მაისში განხილვა დაეანონსეს.

სწორედ საყდრისის კომიტეტის აქტიურობის შედეგად, კულტურის სამინისტრომ კომპანიას უარი უთხრა ამ დოკუმენტის განხილვაზე, რადგან მასში კულტურული მემკვიდრეობის კვლევა ასახული არ იყო. ანუ, ამ დოკუმენტში არ ეწერა, შეექმნებოდა თუ არა საფრთხე ფიტარეთის მონასტერს, ხულუწის ციხეს, როგორი იქნებოდა აფეთქების მუხტები და ა.შ.

მოკლედ, ჩვენი აქტიურობის პირველი შედეგი ის იყო, რომ ბნელ ხევში, ფაქტობრივად, ერთი წლით შევაჩერეთ „არემჯი გოლდის“ მუშობა. თუმცა კომპანიას განზრახვაზე ხელი არ აუღია. „არემჯი“ იქ გზას, ინფრასტრუქტურას აწყობს.

იცით, რომ ძალიან დიდი მოცულობის უნიკალური ტყე გაჩეხილია. გარემოს დაცვის მინისტრმა ინფორმაცია მოგვაწოდა, რომ იქ უნებართვო ჭრა არ მიდისო. თუმცა, რეალურად, ეს ჭრა ძალიან დიდ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ჩვენი მოთხოვნით, კიდევ ჩადის ადგილზე გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალური ჯგუფი, რომელიც ასევე შეამოწმებს, ხეების უკანონო ჭრას ხომ არა აქვს ადგილი.

ასევე იცით, რომ პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის სხდომა იყო მოწვეული, სადაც სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრმა „არემჯი გოლდის“ დანაშაულებრივი საქმიანობა აღიარა. ეს უკვე ამ დანაშაულის სახელმწიფოს მხრიდან აღიარებას ნიშნავს, რომ დიახაც, მძიმე მდგომარეობაა, – დაბინძურებულია ნიადაგი, წყალი, ჰაერი...

ჩვენთვის ცნობილია, რომ უკვე სოფლის მეურნეობის პროდუქტებშიც მძიმე მეტალები მომატებულია. სხვათა შორის, ამაზე კვლევაც სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრმა ჩაატარა.

– კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით პრობლემები კიდევ სად გვაქვს?

– უკვე გითხარით, რომ თვითონ ბნელ ხევში ეს ფიტარეთის მონასტერი და ხულუწის ციხეა. გარდა ამისა, სულ ცოტა ხნის წინ, თავად ადგილობრივმა ტანძიელებმა აღმოაჩინეს ერთი შეუსწავლელი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ასევე „არემჯი გოლდის“ სალიცენზიო ტერიტორიაზეა. სწორად მის მახლობლად მიმდინარეობს აღნიშნული სამუშაოები. ასევე მიმდინარეობს პროცედურები, რომ ამ ძეგლსაც კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭოს.

ანუ, ჩვენ ბნელი ხევის ტერიტორიაზე უკვე სამი ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლის არსებობის შესახებ ვიცით. თუმცა იქ კიდევ ბევრი შეუსწავლელი არქეოლოგიური ობიექტია. სწორედ ამ დღეებში ძეგლთა დაცვის სააგენტოს არქეოლოგებთან შეხვედრა გვაქვს, რათა ბნელი ხევის ძეგლებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მივიღოთ და კიდევ ერთხელ მოვიკითხოთ მათი მდგომარეობა.

– წარმოების გამო სოფელ ტანძიას რა პრობლემები შეიძლება შეექმნას?

– სწორედ სოფელ ტანძიიდან ჩადის გზა ხრამის ხეობაში, რომელიც ბნელი ხევისკენ მიემართება. დიდი სატვირთო მანქანები სოფლის გზაზე მოძრაობენ. რა თქმა უნდა, იქ მტვრისა და ხმაურის გარდა, მათ ხშირად ესმით აფეთქებების ხმა. ისინი ძალიან კარგად ხედავენ, როგორ ნადგურდება ტყეები. ტანძიელები უარს ამბობენ კომპენსაციაზე, თუ „არემჯი გოლდის“ სხვადასხვა დაპირებებზე, მზად არიან ბოლომდე იდგნენ საკუთარი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.

– გარემოს დაბინძურების 25-კილომეტრიანი ზონა ახსენეთ, ტანძიაც თუ შედის აღნიშნულ ზონაში?

– დიახ, რა თქმა უნდა, შედის აღნიშნულ ზონაში.

– უშუალოდ საყდრისთან დაკავშირებით პროცესი სადამდე მივიდა?

– სამწუხაროდ, ორი წლის განმავლობაში მიმდინარე სასამართლო პროცესი ვერ მოვიგეთ. მაგრამ ჩვენი მთავარი გამარჯვება ის იყო, რომ საზოგადოებამ გაიგო საყდრისის მნიშვნელობა, ის თუ რა დავკარგეთ და, ასევე, საყდრისს ბოლნისში მუზეუმი ექნება. ის ფაქტობრივად აშენებულია, ახლა საგამოფენო ექსპოზიციაზე მუშაობა მიმდინარეობს, რათა საყდრისი ღირსეულად იყოს წარმოჩენილი, როგორც უძველესი ოქროს მაღარო. რაც მთავარია, მუზეუმში ღიად მითითებული იქნება, რომ იგი მსოფლიოში უძველესი ოქროს მაღარო იყო.

ეს ფაქტობრივად იმის აღიარებას ნიშნავს, რომ კომპანიამ ხელისუფლების ხელშეწყობით ძეგლი ააფეთქა. რაც საქართველოს ისტორიაში, მშვიდობიან პერიოდში, ალბათ, პირველად განხორციელდა.

– „დმანისის გადარჩენის ფონდის“ საქმიანობას როგორ აფასებთ?

– ფონდის ღონისძიებებში სტუმრის სტატუსით ვმონაწილეობთ. როდესაც ქონების მართვის ეროვნულმა სააგენტომ, მარტში, 16,2 ჰა მიწა აუქციონზე გაიტანა, ვიცოდით, რომ „არემჯი გოლდი“ ამ მიწის იჯარით გადაცემას ითხოვდა, რომ ეს მიწა კომპანიის ხელში აღმოჩნდებოდა. ამ მიწაზე მათ ე.წ. სანაყაროების გაკეთება უნდოდათ. რაც ავტომატურად დაბინძურების ახალი კერების გაჩენას, მეტ დაავადებულ ადამიანს ნიშნავს.

იქიდან გამომდინარე, რომ „არემჯის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანი სახელმწიფოს ჯერ არ დაუთვლია, კომპანიის არც ერთი ვალდებულება შესრულებული არ არის და ამას სახელმწიფოც აღიარებს, ამიტომ უკვე ამ დამატებით ტერიტორიაზე კომპანიის საქმიანობის გაფართოების წინააღმდეგი ვიყავით.

რადგან ამ პრობლემას საყდრისის კომიტეტი მარტო ვერ დაძლევდა, ამიტომ ყველას განცხადებით მივმართეთ – პოლიტიკურ პარტიებს, სხვა აქტიურ ჯგუფებს, სახელმწიფო ინსტიტუტებს.

გამოგვეხმაურნენ პოლიტიკური პარტიები, რასაც მივესალმებით. თვითონ საყდრისის კომიტეტს არანაირი პოლიტიკური მიზანი არ გაჩნია, მაგრამ ღიად გეტყვით, რომ ეს საქმე მარტო კომიტეტის არ არის და საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა და გარემო. ამიტომ მათ გამოჩენას და აქტივობას, რაც აუქციონის მოგებით და სხვა აქტივობით განახორციელეს, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით. მაგრამ ჩვენ აღნიშნული ფონდის წევრები არ ვართ.

– პროტესტის შემდეგ „არემჯი ჯგუფის“ მოქმედება რამდენად ადეკვატურია?

– სამწუხაროდ, ამას ვერ ვხედავთ. „არემჯი ჯგუფი“ ფლობს 1800 კვადრატული კილომეტრის სალიცენზიო ტერიტორიას. გეტყვით, რომ ახალგორი 1100, ხოლო გალის რაიონი 2000 კვადრატული კილომეტრია. ასევე იცით, რომ „არემჯი ჯგუფი“ რუსული კომპანიაა და ფაქტობრივად 1800 კვადრატული კილომეტრი მას ოკუპირებული აქვს. და ჩენ ვნახეთ, მათ რა გააკეთეს დმანისში, ბოლნისში, როგორ გააჩანაგეს გარემო.

აქედან გამომდინარე, ალბათ, წარმოგიდგენიათ უკვე რა ელოდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს, წალკას, სადაც ასევე სალიცენზიო ტერიტორიებს ფლობენ. აქეთ კიდევ რა ელოდება ქვემო ბოლნისს, წითელსოფელს, სადაც მათ სამთო-გეოლოგიური, სადაზვერვო სამუშაოები დაწყებული აქვთ და მომავალში ალბათ კარიერებს იქაც გახსნიან.

რას ნიშნავს მტრის ცნება? რეალურად, მტერი ეს არის ურდო, რომელიც მოდის და გინადგურებს გარემოს, გინგრევს კულტურულ მემკვიდრეობას და გიავადმყოფებს შენს მოსახლეობას. აი, ეს სამივე კომპონენტი დომინანტობს ამ კომპანიის „მოღვაწეობაში“.

შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ საყდრისის აფეთქების შემდეგ, გარემოს გაჩანაგების შემდეგ, მოსახლეობის ჯანმრთელობის შერყევის შემდეგ „არემჯი გოლდი“ საქართველოს და ქართველი საზოგადოების მტერი კომპანიაა. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს რუსული კომპანიაა, მისი მეპატრონე რუსი მილიარდელია.

მათი ქმედება პროტესტის ადეკვატური არ გამხდარა. გარდა იმისა, რომ მხოლოდ დაპირებას იძლევიან, რომ ყველაფერს გამოასწორებენ. კვლავ იგნორირებას უკეთებენ სამოქალაქო საზოგადოებას, თუნდაც პოლიტიკურ პარტიებს. მაგრამ გეტყვით, რომ ბრძოლა არ დამთავრებულა. თუ კომპანიას ეგონა, რომ საყდრისის აფეთქებით ყველაფერი დასრულდებოდა, არა, ბრძოლა სწორედ აღნიშნული აფეთქების შემდეგ დაიწყო და გაგრძელდება კიდეც.

ჩვენ ფეხდაფეხ მივყვებით „არემჯის“. ამ ოთხი წლის განმავლობაში მათი ყველა დანაშაულებრივი განზრახვა გავასაჯაროვეთ და სააშკაროზე გამოვიტანეთ. უახლოეს ხანში ბნელი ხევის აქტიურ დაცვას დავაანონსებთ. როგორც გითხარით, იქ უნიკალური ტყე და ძეგლებია. აქტიურ მონიტორინგს დავიწყებთ და ვეცდებით, რომ ყველა დამანგრეველი ნაბიჯი, რომელსაც „არემჯი“ განახორციელებს, საზოგადოების ყურამდე მივიტანოთ.

– გამოსავალი სად არის, რომ ამ საკითხში ქმედითი შედეგები იყოს მიღწეული?

– ჩვენ რამდენიმე მოთხოვნა გვაქვს. პირველი – სახელმწიფომ კომპანია „არემჯი გოლდის“ მიერ გარემოზე მიყენებული ზიანი უნდა დაითვალოს. არაოფიციალური ინფორმაციით, ეს მილიარდ ლარს აღემატება.

აუცილებლად უნდა მოხდეს მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური კვლევის ჩატარება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის კიდევ ერთხელ შემოწმება. ამ სრული სურათის დადების შემდეგ უნდა გადაწყდეს საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან თუ სხვადასხვა ჯგუფთან ერთად, – რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ კომპანიის საქმიანობის მხრიდან ზიანი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

სხვანაირად გამოსავალს ვერ ვხედავთ, სანამ რეალური სურათი არ გვეცოდინება იმაზე, თუ რა ხდება იქ. თუ ეს კონკრეტული მოთხოვნები შესრულებული არ იქნება, მივმართავთ ხელისუფლებას, რომ კომპანიას შეეზღუდოს და არ მიეცეს საშუალება, რომ ახალი პროექტები დაიწყოს იგივე ბნელ ხევში, ქვემო ბოლნისში და ა.შ.

ესაუბრა
შავლეგ ბერიძე

რას ნიშნავს მტრის ცნება? რეალურად, მტერი ეს არის ურდო, რომელიც მოდის და გინადგურებს გარემოს, გინგრევს კულტურულ მემკვიდრეობას და გიავადმყოფებს შენს მოსახლეობას. აი, ეს სამივე კომპონენტი დომინანტობს ამ კომპანიის „მოღვაწეობაში“.

შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ საყდრისის აფეთქების შემდეგ, გარემოს გაჩანაგების შემდეგ, მოსახლეობის ჯანმრთელობის შერყევის შემდეგ „არემჯი გოლდი“ საქართველოს და ქართველი საზოგადოების მტერი კომპანიაა. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს რუსული კომპანიაა, მისი მეპატრონე რუსი მილიარდელია.

საქართველო ნატოს „ლია“ კარებიან...

ბრიუსელში ჩასვლით ტრამპმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა აშშ-ის ბატონობას ნატოზე, მისი წევრების მიმართ ზერელე დამოკიდებულებას, დატუქსვას, რაც მოთმინებით აიტანა 28 სახელმწიფოს მეთაურმა. არც ერთ მათგანს სიტყვაც არ დასცდენია ტრამპის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გამო. შეეშინდათ, ვაითუ, მიგვატოვოსო...

წინა წერილში, რომელიც ნატოს სამიტს მიეძღვნა, შევეხეთ იმ პრობლემებს, რომლებიც ამ ორგანიზაციის მდგომარეობას ასახავდა. გამოვთქვით მოსაზრება ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების რთული ურთიერთდამოკიდებულებების თაობაზე. ხუმრობა საქმე ხომ არ არის 29 წევრ სახელმწიფოს შორის თანხმობის მიღწევა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მთავარი ქვეყანა ერთობ გამომწვევ პოზიციას იკავებს და ცდილობს თავისი გავლენა უპირობოდ გაავრცელოს პარტნიორებზე?!

ერთი შეხედვით ნატოს წევრ ქვეყნებს შორის პრიორიტეტულობა გამორიცხულია. ყველას აქვს უფლება, გამოთქვას თავისი აზრი და გამოხატოს სხვა წევრთათვის განსხვავებული პოზიცია. ამასთანავე, ვეტოს უფლების მსგავს პროცედურას მიმართოს და ყველასთვის მისაღები საკითხი ისტორიის სანაგვეზე მოისროლოს.

შორს რომ არ წავიდეთ, მოვიყვანოთ უნგრეთის მაგალითი, რომელიც უკრაინას ეხება, უფრო სწორად, უკრაინის მიერ მიღებულ განათლების კანონს. აღნიშნული კანონის მიხედვით, უკრაინაში მცხოვრებ სხვა ერების წარმომადგენლებს ეკრძალებათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. მათ უკრაინულზე უნდა ისწავლონ.

უკრაინაში 150 000-ზე მეტი ეთნიკური უნგრელი ცხოვრობს, რომლებმაც, სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად, მკაცრად გააკრიტიკეს, კანონი და დახმარებისთვის ბუდაპეშტს მიმართეს! ოფიციალურმა მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო, რის შემდეგ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ორბანმა წერილით მიმართა ნატოს წევრ სახელმწიფოებს და აღნიშნა, რომ უნგრეთი წინააღმდეგია უკრაინის ნატოში ინტეგრაციის, რაც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ბრიუსელმა უარი უთხრას უკრაინას გაწევრებაზე.

ცხადია, ბოლო სამიტზე სულაც არ იყო გათვალისწინებული უკრაინის ნატოში შესვლა, მაგრამ ინტეგრაციული პროცედურები, რომლებიც ესოდენ აუცილებელია ორგანიზაციაში შესვლის მსურველი უკრაინისთვის, არ იქნება ისეთი, როგორსაც უკრაინის ხელისუფლება ინატრებდა.

დიახ! ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია ასე მკაცრად დასვას საკითხი და თავისი გაიტანოს, მაგრამ მიუხედავად ამისა ორგანიზაციაში მოკრძალებით ეკიდებიან „დიდთა“ მოსაზრებას, ანუ გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, რომ აღარაფერი ვთქვათ აშშ-ზე, რომლის მიმართ აღნიშნულ „დიდებსაც“ გამოკვეთილი მოკრძალება აქვთ. აშშ არის უცილობელი ლიდერი, ბოლოს და ბოლოს ნატოს შემქმნელი და მთავარი დამფინანსებელი, გარდა ამისა იარაღით აღმჭურველი.

ისტორიას თუ გავიხსენებთ ნატოსა და ევროკავშირის შექმნის იდეა ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთ-ინგლისში გაჩნდა. სწორედ ევროპამ სთხოვა აშშ-ს აქტიურად ჩართულიყო ამ პროცესში და ისიც ჩაერთო, რითაც შეიქმნა დღეისთვის სახელგანთქმული ევროატლანტიკური კავშირი.

იმჟამინდელ ევროპას, მანამდე ერთმანეთს შორის ომებით გადაღლილს, სჭირდებოდა კავშირი, რომელიც ყველა საჭირბოროტო საკითხს მოაგვარებდა და კავშირის წევრ სახელმწიფოებს, ერთმანეთში გადასაწყვეტ საკითხებთან დაკავშირებით, იარაღისკენ არ გაახედებდა. გარდა ამისა, ევროპა, მეორე მსოფლიო ომიდან ახალგამოსული, ეჭვის თვალით უყურებდა გერმანიას, შიშობდა მისი მილიტარისტული აღორძინებით.

გერმანიის მოთოკვის სურვილი გაცილებით სჭარბობდა საბჭოეთის არსებობით გამოწვეულ შიშს. მხოლოდ მოგვიანებით გადაინაცვლა საბჭოთა კავშირმა, როგორც საფრთხემ ევროპის ქვეყნებისთვის, პირველ ადგილზე, გერმანია კი გახდა ერთ-ერთი ლიდერი ახალ ალიანსში.

იქიდან მოყოლებული დღემდე, აშშ იყო და არის ნატოს მთავარი დამფინანსებელი. წლიური თანხა, რასაც აშშ სწირავს ამ ორგანიზაციას – 800 მილიარდ დოლარს აღემატება. „ცივი ომის“ პერიოდში აშშ-ის პოლიტიკა ხარჯებზე მაღლა სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებს აყენებდა. მაშინ უმთავრესი ამოცანა საბჭოეთის შეჩერება იყო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. საბჭოთა კავშირი დაიშალა, თუმცა ამან სათავე არ დაუდო იმ ორგანიზაციის გაუქმებას, რომელიც საბჭოეთის საწინააღმდეგოდ იყო შექმნილი. მცდარი გამოდგა მოსაზრება - იდეოლოგიის გამო საბჭოთა კავშირ-დასავლეთს შორის დაპირისპირების თაობაზე.

იდეოლოგია საბაბი იყო, თუმცა არცთუ უმნიშვნელო. მთავარი – ქვეყნებს შორის დაპირისპირება იყო, გავლენის სფეროების მოპოვება, ერთმანეთის უნდობლობა, უსაფრთხოებაზე ზრუნვა და ა.შ.

აშშ, რომელმაც პრიორიტეტული პოზიცია დაიკავა ნატოში, მრავალი წლის განმავლობაში თავს ახვევს პარტნიორებს საკუთარ სურვილებს და პოლიტიკას, რაც არ არის გასაკვირი მარტივი რეალობის გამო – ვინც ფულს იხდის, ის უკვეთავს მუსიკას. აშშ კი ყველაზე მეტ ფულს იხდის ორგანიზაციის ბიუჯეტში – ქვეყნის ეროვნული პროდუქტის 4%-ს. გარდა ამისა მისი იარაღით არის აღჭურვილი ნატო.

თანხა ერთობ მნიშვნელოვანია, რაც გაღიზიანებას იწვევს აშშ-ის ახალ ადმინისტრაციაში, განსაკუთრებით პრეზიდენტ ტრამპში, რომლის სურვილია, ყველა წევრმა სახელმწიფომ გადაიხადოს თანაბრად, საკუთარი ეროვნული პროდუქტის 2%. ეს წინადადება ჯერ კიდევ წინა პრეზიდენტმა ობამამ დააყენა, თუმცა წარუმატებლად. ტრამპი კი ყოველგვარი რევერანსების გარეშე მოუწოდებს პარტნიორებს გადახდისკენ და თუ არ გადაიხადეს, იმასაც აცხადებს, რომ დატოვებს ნატოს.

ტრამპის შანტაჟის მსგავსი განცხადება, ნატოდან გასვლის თაობაზე, კარგა ხანია ტრიალებს დასავლურ მედიაში, თუმცა ოფიციალური წყაროები ამას არ ადასტურებენ. არც ახლა დაადასტურეს, როდესაც 12 ივლისის სხდომაზე, რომელიც საქართველო-უკრაინის საკითხებს იხილავდა, ტრამპის თხოვნით, უკრაინა-საქართველოს პრეზიდენტებს პოროშენკოსა და მარგველაშვილს დარბაზი დაატოვებინეს, რის შემდეგაც ტრამპმა 28 წევრს უთხრა – არ გადაიხდით 2%-ს, ნატოდან გავდივარო. მაშინ ყველამ ერთად შეჰფიცეს „შეფს“ – გადავიხდითო.

სხდომის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ტრამპმა ბრძანა, რომ ნატო მყარი ორგანიზაციაა და ა.შ.

გადახდის თემა 2024 წელს უნდა ამოიწუროს. იბადება კითხვა – შეძლებენ წევრი სახელმწიფოები თანხის გადახდას?

გერმანიის კანცლერის აზრით, თუ გერმანია რამეს მოახერხებს, დიდის გაჭირვებით 1.7%-ს. არც დანარჩენები არიან ოპტიმისტურად განწყობილი, მაგრამ მეტი რა გზა აქვთ?

ტრამპმა თავისი გაიტანა. გაიტანა?

განა 2 წლის წინათ იგივეს არ ითხოვდა, მაგრამ შედეგი მხოლოდ 5 ქვეყნის პოზიტიური მიდგომა აღმოჩნდა, თვით აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, პოლონეთის და ესტონეთის. ვგონებ ანალოგიურს ექნება ადგილი – დაპირებას და შეუსრულებლობას. ალბათ, იმის იმედიც აქვთ, რომ ტრამპი მომავალ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს.

რატომ გავამახვილეთ ყურადღება საწევროების გადახდაზე?

უპირველესად იმიტომ, რომ ტრამპის მთავარი ამოცანა არის არა იდეოლოგია, არამედ ფული. მან ფორმალურად გაიმარჯვა. ამჯერად ნატო გადაურჩა აშშ-ის გასვლას ორგანიზაციიდან, მაგრამ რა იქნება ხვალ, როდესაც შესაბამისი თანხების გადახდას ვერ შეძლებენ ორგანიზაციის წევრები?

შეასრულებს თუ არა ტრამპი თავის სიტყვას – გასვლასთან დაკავშირებით - არის ის მთავარი საკითხი, რომელმაც ძირი შეიძლება შეურყიოს ორგანიზაციას. არადა, აშშ-ის ფინანსების გარეშე ნატო სულს განუტევებს. და არა მარტო ფინანსების – სამხედრო კონტინგენტის, შეიარაღების გარეშე.

ევროპელები რახანია, ლაპარაკობენ ევროპის სამხედრო ძალების შექმნის თაობაზე, თუმცა უშედეგოდ. ნატო მძლავრი ორგანიზაციაა. მთლიანობაში მისი ბიუჯეტი და შეიარაღება გაცილებით აღემატება რუსეთისას – მთავარი საფრთხისას, ვისი გამოისობითაც არსებობს ნატო.

ნატოს შტაბ-ბინაში მოკალათებული ათასობით მოხელე, მაღალი ხელფასებითა და სიკეთეებით, ყველაფერს აკეთებს ამ ორგანიზაციის შესანარჩუნებლად. საკუთარი ამომრჩევლის თვალში, ორგანიზაციის არსებობის გამართლების მიზნით, უმაღლეს დონეზე აჰყავს ანტირუსული პროპაგანდა. დასავლური მედია დაბეჯითებით უმტკიცებს საკუთარ მოსახლეობას რუსული აგრესიის თაობაზე.

პროპაგანდაში აქტიურად არიან ჩართული ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა სამი რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი, სხვები. მათი აშკარა ზემოქმედებით უკრაინა და საქართველო. ორივე მათგანმა ბრიუსელის სამიტის ფარგლებში უამრავი რამ თქვა რუსეთის აგრესიაზე და შეჰღაღადა ნატოს – გვიშველეთო.

ნატოც რა ნატოა, თხოვნა არ შეასრულოს! მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ეს თხოვნაც ნატოს ექსპერტების მოწოდებით ხდება!

ხელი ხელს ბანს, ორივე – პირს. სწორედ ამასთან გვაქვს საქმე. საქართველო რახანია, პირნათლად ასრულებს ნატოს დავალებებს, მათ შორის რუსეთის ლანძღვას, თავქუდმოგლეჯილი მიექანება ყველა იმ სამხედრო ოპერაციაში, რომელშიც ნატო მონაწილეობს.

როდესაც ნატოს წევრი სახელმწიფოები „მომჭირნეობით“ ეკიდებიან საკუთარი სამხედრო მოსამსახურეების „ცხელ წერტილებში“ გაგზავნას, საქართველო მზად არის, ცხრაასამდე მეომარი გაგზავნოს ავღანეთში, თან ისიც თქვას – ტერორიზმი აქ რომ არ მოგვევლინოს, იქ არის საჭირო მის წინააღმდეგ ბრძოლაო...

დავუშვათ, საქართველო შეუშვეს ნატოში, რამდენად იქნება მისი უსაფრთხოება დაცული?

თუ ბალტიისპირა ქვეყნების და აღმოსავლეთ ევროპის მაგალითებს ავიღებთ, ალბათ, არც ისე...

დაცული რომ იყოს, განა ბალტიისპირელები არ შეწყვეტდნენ პერმანენტულ წიოკს – გვიშველეთ, რუსეთი მოდისო?

ეს ქვეყნები სულ მუდამ მოითხოვენ ბრიუსელ-ვაშინგტონისგან არათუ იარაღის მიწოდებას, არამედ მათ ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო კონტინგენტის პერმანენტულ ყოფნას. გარდა ამისა, რუსული აგრესიის შემთხვევაში აამოქმედებს თუ არა ბრიუსელი წესდების მე-5 პუნქტს (ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის), არვინ იცის.

არცთუ დიდი ხნისწინანდელი ინციდენტიდან გამომდინარე (თურქეთის მიერ რუსეთის ავიაგამანადგურებელი თვითმფრინავის ჩამოგდება) – არა! ჩამოგდების შემდეგ თურქეთმა მხარდაჭერისთვის ბრიუსელს მიმართა, რომელმაც უპასუხა – ანკარა-მოსკოვის კინკლაობაში არ ჩავერევიო. არადა, თურქეთი ნატოს სტაჟიანი და გავლენიანი წევრია.

სხვა მაგალითებიც უხვადაა. მაგალითად, კვიპროსი, რომლის ტერიტორია ჩრდილოეთ კვიპროსი, თურქეთის მიერ არის დაპყრობილი. ნატოში შესვლის შემდეგ, ერთი-ორად გაიზრდება ნატოს წევრი თურქეთის საქართველოზე გავლენა, ანუ ეკონომიკურს სამხედრო დაემატება.

ნატოსა და ევროკავშირში გაწევრება – ორივე შორეული პერსპექტივაა, მაგრამ დავუშვათ დღეს მოხდა, რას მივიღებთ?

ქვეყნის უსაფრთხოების ნაკლებ ხარისხს და ნაცვლად ამისა დაკარგულ სუვერენიტეტს, თუ უკვე დაკარგული არა გვაქვს.

ბრიუსელში ჩასვლით ტრამპმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა აშშ-ის ბატონობას ნატოზე, მისი წევრების მიმართ ზერელე დამოკიდებულებას, დატუქსვას, რაც მოთმინებით აიტანა 28 სახელმწიფოს მეთაურმა. არც ერთ მათგანს სიტყვაც არ დასცდენია ტრამპის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გამო. შეეშინდათ, ვაითუ, მიგვატოვოსო.

თვით ტრამპი აშშ-ის იმ მოქალაქეების იდეებს ატარებს, ვინც ევროკავშირს მოწინააღმდეგედ მიიჩნევს და სურს მისი დასუსტება, დაშლა, ხოლო ნატოს არცთუ ეფექტურ ორგანიზაციად, ურომლისოდაც თავისუფლად შეიძლება ცხოვრება.

ტრამპი ანტიევროკავშირელი, ანტინატოელია. მას არ უყვარს კოლექტივთან თანამშრომლობა. მას ინდივიდუალური ურთიერთობები ურჩევნია, რაც უდავოდ გამოიღებს შედეგს– არცთუ დასამშვიდებელს ევროპისთვის.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲒᲛᲘᲠᲘ

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

2018 ᲬᲚᲘᲡ 22 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ, ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲔᲬᲕᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ �გᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲜᲔᲑᲘᲕᲠᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ. ᲛᲠᲐᲕᲚᲘᲡᲛᲝᲛᲪᲕᲔᲚᲘ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲡ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ �თᲔᲛᲐ — „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲒᲛᲘᲠᲘ“ — ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ�პᲘᲠᲘᲡ�პᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ �თᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲖᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ �დᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲘᲧᲝ; ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲕ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ **„ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲒᲛᲘᲠᲘ“** ᲙᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲛᲐᲠᲘᲜᲐᲛ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ �დᲔᲙᲐᲜᲛᲐ ᲛᲐᲠᲘᲜᲐᲛ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ. ᲛᲐᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ �გᲐᲣᲡᲕᲔᲡ ᲮᲐᲖᲘ ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲙᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲗᲐᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ: ᲫᲜᲔᲚᲘᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲝ, ᲙᲐᲪᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲜᲢᲘᲒᲛᲘᲠᲘ — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ-�პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲣᲗᲛᲝ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐᲡ, ᲗᲣ �რᲐᲢᲝᲛ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲒᲛᲘᲠᲐᲓ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲔᲡ ᲒᲐᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲛᲐᲜ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ ᲬᲐᲛᲝᲡᲬᲘᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ. ᲛᲐᲡᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲔᲠᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲢᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ, ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘ... ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲘᲓᲒᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲘᲙᲘᲡᲠᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲗᲝᲡᲘᲡ ᲨᲔᲗᲮᲖᲐᲨᲘ. ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡᲓᲐ, ᲐᲛ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ, ᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲘᲙᲝ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲯᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲘᲣᲙᲔᲠᲫᲝᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲛᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ ᲤᲠᲐ�გᲛᲔᲜᲢᲘ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲓᲐᲜ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲬᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲡᲐᲩᲝᲗᲘᲠᲝ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ.

ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲓᲐᲣᲛᲐᲚᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲖᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲢᲠᲐ�გᲔᲓᲘᲐᲪ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ �კᲘᲡᲔᲠᲖᲔᲐ, ᲛᲐᲡ ᲐᲛᲫᲘᲛᲔᲑᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲠᲐᲪᲮᲘᲚᲘ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲐᲡᲛᲘᲜᲐ ᲨᲐᲰ-ᲐᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘᲜᲐ: **„ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲨᲔᲜᲐ ᲒᲐᲡᲕᲠᲘᲚᲘ, ᲕᲔᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲛᲘᲠᲘ!“** — ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ.

ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲪ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡ ᲓᲐᲣᲖᲝᲒᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲙᲣᲚᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲓᲐᲘᲓᲒᲐ. **„ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲔᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ“,** — ᲓᲐᲐᲛᲐᲢᲐ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ.

ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ �გᲐᲣᲡᲕᲐ ᲮᲐᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲜᲘᲙᲝ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲓᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲓᲔᲚᲡ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲝᲡ, ᲒᲛᲘᲠᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲜᲢᲘᲒᲛᲘᲠᲘ. ᲘᲡᲘᲪ ᲓᲐᲐᲛᲐᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘᲪ, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲪ ᲓᲐ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲪ ᲙᲘ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲡ, ᲙᲝᲜᲓᲝᲢᲘᲔᲠᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲮᲝᲚᲝ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲐ: **„ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲮᲚᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲝ“.** — ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲰᲭᲔᲜᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲡ.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲥᲐᲥᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ, ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲔᲬᲕᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ �გᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲜᲔᲑᲘᲕᲠᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ. ᲛᲠᲐᲕᲚᲘᲡᲛᲝᲛᲪᲕᲔᲚᲘ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲡ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ — „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲒᲛᲘᲠᲘ“ — ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ�პᲘᲠᲘᲡ�პᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲖᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ �დᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲘᲧᲝ; ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲕ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ **„ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲒᲛᲘᲠᲘ“** ᲙᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲛᲐᲠᲘᲜᲐᲛ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲛᲐ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲕᲐᲮᲐᲜᲘᲐᲛ �გᲐᲮᲡᲜᲔᲡ. ᲛᲐᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ. ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲗᲥᲛᲣᲚᲘ: ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲢᲘᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲞᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ ᲫᲐᲚᲚᲐᲕᲡ — „ᲨᲔᲜᲡ ᲙᲘᲡᲔᲠᲖᲔᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲪᲔᲛᲐᲝ“, ᲐᲠᲪ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲛᲘᲝᲠᲩᲔᲝᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲡᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲔᲡ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ.

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲘᲡᲘᲪ �გᲐᲘᲮᲡᲜᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ �გᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲞᲐᲞᲐᲡ, ᲠᲐᲝᲓᲔᲜ ᲒᲐᲜᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ. ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲗᲥᲛᲣᲚᲘ: ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲢᲘᲥᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲢᲠᲘᲝᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲛᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲡᲐᲡ.

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲐᲥᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲘ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲣᲚᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲥᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲘᲐᲜᲘ. ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲛᲓᲔᲪ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲐ, ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲐᲓ ᲔᲓᲒᲐ ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ.

ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ

პოლონელი ანალიტიკოსის თვალით დანახული რუსულ-აფხაზური ურთიერთობები

სიყვარულთან შერეული სიძულვილი...

ინტერვიუში ვარშავის აღმოსავლური კვლევების ცენტრის ანალიტიკოსი **ვოიცეხ გურეცკი** ჟურნალისტ **ანიტა ჩუპრუნთან** აფხაზეთის შესახებ საუბრობს: განმარტავს, თუ რატომ დაინტერესდა იგი, ახალბედა ჟურნალისტი, 1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთის პრობლემატიკით, როგორ იმოგზაურა ჯერ ჩრდილოეთ კავკასიასა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შემდეგ კი საქართველოში და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ვოიცეხ გურეცკი ავტორია წიგნებისა „პლანეტა კავკასია“, „წინაპრების სადღეგრძელო“ და „აფხაზეთი“, რომლებიც ქართულ ენაზეცაა თარგმნილი.

„ნიუსპრესი“ დღეს გვთავაზობს ამონარიდებს ამ ინტერვიუდან:

— **ჟურნალისტად** მუშაობა 1980-იანი წლების ბოლოს დავიწყე. ომის მიმდინარეობა მინდოდა, გამეშუქებინა. იმ დროს ჟურნალისტების მიერ იუგოსლავიის კონფლიქტი უფრო იყო „დაკავებული“, კავკასიას კი იშვიათად თუ ვინმე აშუქებდა. თანაც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე აფხაზური მხარის პოზიციით, პრაქტიკულად, არავინ არ წერდა. 1991 წელს მოსკოვში ვიყავი და ვიგრძენი, რომ ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი პროცესის მოწმენი ვიყავით, რომელიც სულ მალე ევროპას შეცვლიდა. კავკასიის შესახებ ადრე ბევრს ვკითხულობდი და საკუთარი თვალით ნახვა მოვისურვე. ჩავედი სტავროპოლში, იქიდან კი აფხაზეთში, თუმცა მივხვდი, რომ ვერ გავიგებ, რა ხდება რეგიონში მთლიანად საქართველოს გაცნობის გარეშე.

— თქვენმა წიგნმა „აფხაზეთი“ დიდი რეზონანსი გამოიწვია საზღვარგარეთაც. ჟურნალმა „ეკონომისტმა“ საუკეთესო წიგნად შეაფასა რეგიონის შესახებ გამოცემულ წიგნებს შორის...

— დიახ, ასე შეაფასა ედვარდ ლუკასმა („ეკონომისტის“ რედაქტორმა). სხვათა შორის, წიგნი ქართულ ენაზეც ითარგმნა.

— როგორ მიიღეს თქვენი წიგნი საქართველოსა და აფხაზეთში?

— აფხაზურ და რუსულ ენებზე არ გადაუთარგმნიათ. თუმცა აფხაზეთში რამდენიმე ადამიანი პოლონურ ენას ფლობს და ვიცი, რომ მათ წაიკითხეს. საქართველოში საინტერესო ისტორია შემემთხვა: როცა ჩემი პუბლიკაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარვადგინე, ქართველებმა რიგი შენიშვნები გამოთქვეს, შემდეგ კი, კულუარებში, მითხრეს, რომ ყველაფერზე, რაც წიგნში დავწერე, ისინი არაფორმალური საუბრების დროს თვითონაც ლაპარაკობენ. შევეცადე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი რაც შეიძლება ობიექტურად ამესახა, ორივე მხარის არგუმენტები და რეგიონის სპეციფიკა მეჩვენებინა.

— აფხაზეთი საკმაოდ საჩოთირო თემას წარმოადგენს. ერთნი ამბობენ, რომ აფხაზეთი კვაზისახელმწიფოა, მეორენი მას რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას უწოდებენ...

— დიახ, ეს ყველაფერი სიმართლეა. მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა, მათ შორის პოლონეთი, აფხაზეთს საქართველოს ნაწილად მიიჩნევს, თუმცა თბილისი ამ რეგიონს ვერ აკონტროლებს.

— როგორები არიან აფხაზები?

— აფხაზეთს მე კავკასიის გასაღებს ვუწოდებ. მხედველობაში მაქვს ის, რომ რეგიონი სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მიჯნაზე მდებარეობს, მთებს და ზღვას, ქრისტიანობასა და ისლამს შორის. აფხაზები სხვა კავკასიური ხალხებისგან რამდენადმე განსხვავდებიან. ჯერ ერთი, რომ ისინი მთიელებიც არიან და ზღვაოსნებიც, რაც იშვიათი შემთხვევაა. ის ფაქტი, რომ არგონავტები ოქროს საწმისისთვის ამ მხარეში ჩავიდნენ (მართალია, არა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე), იმას მოწმობს, რომ რეგიონს უძველესი ისტორია აქვს. მეორე განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ აფხაზები სხვა კავკასიელებისგან განსხვავებით, ძალიან თავშეკავებულები არიან, საკუთარ თავში ჩაკეტილნი, შეიძლება ითქვას, „ჯავშნით“ დაფარული. ისინი ქართველებს არ ჰგვანან, რომლებიც გულღია ხალხია. კი, აფხაზებიც მეგობრულები არიან, სტუმარს პატივს სცემენ, მაგრამ დისტანციას იცავენ. მე მათ „კავკასიელ სკანდინავებს“ ვუწოდებდი. მათ ჩაკეტილი საზოგადოება აქვთ, დაძმობილება არ უყვართ. სტუმრად მიგიღებენ, გაგიმასპინძლდებიან, მაგრამ მკაცრად იცავენ პირად საზღვრებს, რომლებიც უფრო ღრმაა, სხვა ხალხებისაგან განსხვავებით (ვოიცეხ გურეცკი საუბრობს აფხაზურ ტრადიციებზე, იქაურ იუმორზე, მწერლებზე, მეცნიერებზე... იხსენებს ზოგიერთ პოლიტიკურ ლიდერს, კერძოდ, იური ვორონოვს, ახასიათებს რაულ ხაჯიმბასაც: „იგი წარსულში ძალოვან სტრუქტურებთან („სუკ“-თან) იყო დაკავშირებული. ბევრჯერ ცდილობდა გაპრეზიდენტებას და ბოლოს პრორუსული ლოზუნგების ფონზე პრეზიდენტად აირჩიეს. აფხაზებმა გადაწყვიტეს — იყოს რუსეთი, იქნებ მეტი წესრიგი დამყარდესო. ასე გახდა რაულ ხაჯიმბა პრეზიდენტი“).

— ამჟამად აფხაზური ინტელიგენცია და ელიტა უფრო დაბალი დონისაა, ვიდრე ეს 1991 წლისათვის იყო. ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, თავი რუსეთს ან დასავლეთს შეაფარეს. ისინი თვლიან, რომ აფხაზეთში დარჩენისას პერსპექტივა არ ექნებოდათ. დღეს აფხაზი პოლიტიკოსები მოსახლეობას სამუშაო ადგილებს კი არ ჰპირდებიან, არამედ დისკოთეკების გახსნას. ეს რაღაცაზე მიუთითებს. ძალიან სერიოზული პრობლემაა ნარკომანია. ამავე დროს ისიც უნდა ვთქვა, რომ ჯერ კიდევ არის რაღაც დარჩენილი ძველი მეცნიერების კულტისაგან — აფხაზეთში ბევრი წიგნი იბეჭდება, თუმცა მოსახლეობა მეოთხედი მილიონია და თვით აფხაზები 100 ათასზე მეტნი არ არიან.

— რუსეთი მართლაც ეხმარება აფხაზეთს თუ ის დათვის, ოკუპანტის ხელში აღმოჩნდა?

— რუსეთი თანამედროვე აფხაზეთის არსებობის გარანტად გამოდის. მოსკოვის გარეშე აფხაზეთი უფრო სხვანაირი იქნებოდა. რა თქმა უნდა, მისი სტატუსი გაურკვეველია, „ჰაერში ჩამოკიდებული“, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აფხაზეთს საქართველოსთან „ახალი მიერთება“ არ ემუქრება. სხვათა შორის, ბევრმა აფხაზმა საქართველოს არსებობა უკვე დაივიწყა ან არ ახსოვს — გაიზარდა ახალი თაობა, რომელსაც საქართველო არ უნახავს.

— აგვისტოში აფხაზეთში ზეიმი გაიმართება...

— ...დანარჩენ საქართველოსთან ომის დასრულების 20 წლისთავის აღსანიშნავად. რუსეთი აფხაზებს გარანტიას აძლევს, რომ ის სიტუაცია, რომელშიც დღეს აფხაზეთი იმყოფება, არ შეიცვლება, თუმცა იმავდროულად ასეთი მდგომარეობა მის განვითარებას აბრკოლებს. არავინ ამ „რესპუბლიკაში“ ინვესტიციების ჩამდები არ არის, კონტაქტები არ არსებობს, რადგან აფხაზეთი, რუსეთის და კიდევ ორიოდე სახელმწიფოს მხრიდან აღიარების მიუხედავად, მსოფლიოსათვის მაინც საქართველოს ნაწილად რჩება. სხვათა შორის, 2008 წელს რუსეთი სანამ აფხაზეთს აღიარებდა, იქ ბევრი დასავლური არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობდა, უცხოელი პოლიტიკოსები ჩადიოდნენ, დღეს კი ამ ყველაფერს წერტილი აქვს დასმული. ჩემს წიგნში ერთ-ერთ აფხაზ პოლიტიკოსს ვციტირებ: **„წინათ ჩვენ დამოუკიდებელნი ვიყავით, ახლა კი აღიარებულები ვართ“**. აფხაზების შესაძლებლობები შემცირდა. რუსეთის დოტაციის გარეშე აფხაზებს ნატურალური მეურნეობა ექნებოდათ, მაგრამ საქმე ისაა, რომ მოსკოვის დახმარება კერძო პირების ჯიბეში მიდის, გამეფებულია კორუფცია, აფხაზეთის ეკონომიკა არ ვითარდება. მართალია, რუსი ტურისტები ჩადიან და ადგილობრივი მოსახლეობა მათგან გარკვეულ შემოსავალს იღებს, მაგრამ ეს არის **„სიყვარულთან შერეული სიძულვილი“**. აფხაზები პრორუსული ხალხია, მაგრამ ისინი აცნობიერებენ იმას, რომ რუსეთი ახრჩობთ და თავის დაცვას ცდილობენ. თუ რუსულ ტურისტულ საიტებს გადახედავთ, იქ წაიკითხავთ, რომ რუსებს აფხაზეთში ყოფნისას ნეგატიური შთაბეჭდილება რჩებათ.

— რატომ? ისინი ხომ იქ დასასვენებლად ჩადიან? ვინ აძალებთ წასვლას?

— რუსები იქ იმიტომ ჩადიან, რომ აფხაზეთში შედარებით იაფი ფასებია და რუსულად საუბარი თავისუფლად შეიძლება. თუმცა ბევრი რუსი ტურისტი აღნიშნავს, რომ აფხაზები მაინცდამაინც სტუმართმოყვარულად არ იქცევიან — „თუ აქ არ მოგწონს, დაბრუნდი შენს რუსეთშიო“...

— რა როლს ასრულებს აფხაზეთი და კავკასია გეოპოლიტიკურ არენაზე? მათ შეუძლიათ, შეასრულონ იმ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტორის როლი, რომელიც სასწორს ამა თუ იმ მხარეს გადახრის?

— მიმდინარე პოლიტიკაში აფხაზეთი და კავკასია რაიმე განსაკუთრებულ როლს არ ასრულებენ, მაგრამ მნიშვნელოვანი „ზურგის“ სახით გამოდიან მსხვილი რეგიონებისათვის: პოსტსაბჭოთა ევრაზიისათვის, ახლო აღმოსავლეთისათვის, დასავლეთისათვის (რუსეთის მისადგომებთან), თურქეთისა და ირანისათვის... აქაური ნავთობი და გაზი, ცხადია, მსოფლიო ბაზრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე არ არის, მაგრამ ენერგიის ალტერნატიული წყაროს როლის შესრულება შეუძლია. კავკასიაზე გადის აზია-ევროპის ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზებიც, რუსეთის გვერდის ავლით.

— ამას წინათ აფხაზებმა სირიელი ლტოლვილები მიიღეს...

— ეს მათ უფრო მოსკოვის გასაღიზიანებლად გააკეთეს. აფხაზეთსა და რუსეთს შორის უვიზო რეჟიმი არსებობს და თუ ლტოლვილი (კავკასიური ფესვების მქონე, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში და სირიაშიც არიან) აფხაზურ დოკუმენტებს მიიღებს, მას რუსეთში შესვლა თავისუფლად შეუძლია. მოსკოვმა უკმაყოფილება გამოხატა, მაგრამ სოხუმთან სიტუაცია არ გამწვავებულა, რადგან ლტოლვილები ცოტანი არიან.

— ესე იგი, ამით ცხადი ხდება, რომ აფხაზები სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ, რუსეთს „უკბინონ“...

— აფხაზები ამაყი ხალხია და ცდილობენ, ხაზი გაუსვან: რუსეთთან მათი ურთიერთობა მხოლოდ პარტნიორულია და რესპუბლიკა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. იქაურ პოლიტიკოსებს სურთ, ხალხს დაანახვონ: საქმე მხოლოდ ფულით დახმარებაში არაა, არსებობს სხვა საკითხებიც, რისთვისაც მოსკოვი სოხუმს ანგარიშს უწევს.

„Polska“ (პოლონეთი)

„საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებაზე უკიდურესად ნეგატიური რეაქცია გვექნება“



რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ნატოს არაწევრ ქვეყნებთან თანამშრომლობა გაწევრების გარეშე, ორმხრივ ფორმატშიც შეუძლია. „ფოქს ნიუსთან“ ინტერვიუში პუტინმა საქართველოსა და უკრაინის ხარჯზე ნატოს შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებით საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ დააფიქსირა:

„გადაწყვეტილებები ნატოში ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით კონსენსუსის შედეგად მიიღება, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსში მიღებამდე წევრ ქვეყნებთან შესაძლებელია ორმხრივი თანამშრომლობაც, როგორც ეს პოლონეთთან და რუმინეთთან მოხდა და სადაც ახლაც შეერთებული შტატების ანტისარაკეტო თავდაცვის ელემენტებია განთავსებული. ჩვენი უსაფრთხოებისთვის ეს პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომ ნატოს ინფრასტრუქტურის ჩვენს საზღვრებთან მოახლოება იქნება საფრთხე და რეაქცია იქნება უკიდურესად ნეგატიური“, — განაცხადა პუტინმა.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲘᲯᲐᲠᲐᲨᲘ „ᲐᲕᲔᲠᲡᲘᲡ“ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲣᲩᲓᲘᲡ,

ᲗᲐᲕᲐᲓ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ ᲙᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲔᲜᲑᲠᲔᲕᲐᲗ!

ᲫᲕᲔᲚᲘ **კარები, აყრილი და დაზიანებული იატაკი, დაბზარული და ნესტიანი კედლები, ჩვენ არ გიყვებით კომუნისტური ეპოქის საერთო საცხოვრებლის შესახებ, ეს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრია, რომლის ბედიც სახელმწიფოს აბარია.**

სახელწიფოს მმართველობის ქვეშ არსებული საავადმყოფო, დღეს კომპანია „ავერსის“ კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარეობს. სახელმწიფოს შენობები იჯარით აქვს აღებული, რაშიც ყოველთვიურად დაახლოებით 40 ათას ლარს იხდის.

„ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი შოთა გოგიჩაიშვილი აცხადებს, რომ იჯარას სახელმწიფო 2012 წლიდან იხდის. 6 წელიწადში სახელმწიფომ დაახლოებით 3 მილიონი გადაიხადა იმაში, რომ პერსონალს ძველ განადგურებულ შენობაში, სადაც ანტისანიტარია და სიბინძურე აღარავის უკვირს, სამედიცინო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდეს.

2009 წელი: გაყიდული საავადმყოფო, კოლეგიის ოთახში გამოკრული ახალი საავადმყოფოს ტენდერი და მოლოდინი, მოლოდინი იმისა, რომ ერთ დღესაც მაღალი სტანდარტების საავადმყოფოში იმუშავებენ. 2018 წელი: ორჯერ შეცვლილი პროექტი და სამჯერ შეცვლილი ლოკაცია, ისევ მოლოდინი თუმცა, არც რეალობა შეცვლილა და მისამართიც იგივე რჩება – ალ. ყაზბეგის გამზირი № 16.

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მედიკოსებმა საპროტესტო აქციებიც გამართეს, აწ უკვე ყოფილ პრემიერ კვირიკაშვილისგან პრობლემის მოგვარების პირობაც მიიღეს, თუმცა, 400-ზე მეტი ყოველდღიური პაციენტი გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო, სრულყოფილ სტაციონარულ მომსახურებას დღესაც ვერ იღებს. დაპირების თანახმად ახალი საავადმყოფო დიღმის კლასტერში უნდა აშენებულიყო მაგრამ, ტერიტორია საავადმყოფოს ბალანსზე ამ დრომდე არ ირიცხება.

„პრემიერ კვირიკაშვილთან შეხვედრის შემდეგ მყარი დაპირება მივიღეთ, რომ 2 წლის განმავლობაში ახალ საავადმყოფოს აგვიშენებდნენ. ერთი წელი უკვე გავიდა და ის ნაკვეთიც კი არ არის ჩვენს ბალანსზე გადმოცემული, რომელზეც საავადმყოფოს აშენებას დაგვპირდნენ. მანამდე მშენებლობა უნივერსიტეტის ქუჩაზე იგეგმებოდა, გადმოგვცეს 5000 კვ.მ., რომელიც რეკრეაციული ზონა აღმოჩნდა, ამიტომ მშენებლობის დაწყება ვერ მოხერხდა“, – განაცხადა შოთა გოგიჩაიშვილმა.

„ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი აცხადებს, რომ მათ ფართობი ერთი მესამედით შეუმცირეს, რამაც, შესაძლოა, საავადმყოფო სავალალო შედეგამდე მიიყვანოს.

„კატასტროფულ სივიწროვეს განვიცდით. ჩვენი ცენტრი გაყიდვამდე განთავსებული იყო 12 500 კვ.მ-ზე, ვგულისხმობ, მხოლოდ შენობების ფართს. ახლა გვაქვს 7350, დაწყებული სამუშაო ოთახებიდან დამთავრებული სამედიცინო სერვისებით, ბევრი პარამეტრი ნორმატივებს ვერ აკმაყოფილებს. ეს გამოიწვია იმან, რომ ჩვენ კერძო კომპანიის საკუთრებაში არსებულ შენობებში ვსაქმიანობთ“, – აცხადებს შოთა გოგიჩაიშვილი.

შოთა გოგიჩაიშვილი გვიყვება, რომ მედიკოსები ახლა ეკონომიკის სამინისტროს ქმედით ნაბიჯს ელოდებიან.

„ეკონომიკის სამინისტრომ უნდა დააკანონოს და ფართი ბალანსზე გადმოგვცეს, ჩვენ დავაბრუნებთ უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ ნაკვეთს, რომელიც, პრაქტიკულად, გამოუსადეგარია ჩვენთვის. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ მაქსიმალურადშემჭიდროებულ ვადებში უნდა განახორციელოს მშენებლობა. თუ დაიწყო მშენებლობა, როგორც მინიმუმ თავისი აღჭურვით 3 წელი დასჭირდება, ანუ ისევ საჭიდაო გვექნება იმ კომპანიასთან, რომლის ტერიტორიაზეც ჩვენ ვსაქმიანობთ“, – განაცხადა შოთა გოგიჩაიშვილმა.

თუ უმოკლეს დროში რაიმე არ შეიცვალა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი პაციენტების მიღებას ვეღარ შეძლებს და ათასობით ადამიანი მკურნალობის გარეშე დარჩება, მათ შორის შიდსის და C-ჰეპატიტის მქონე პაციენტებიც.

„საავადმყოფოს, რომ არ ჰქონდეს სერიოზული წონა და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის, ამ პარამეტრებით არც უნდა ვფუნქციონირებდეთ. პაციენტებთან ურთიერთობაში რთულად აისახება ეს მძიმე მდგომარეობა თუნდაც, საწოლების რაოდენობის თვალსაზრისით. მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, გაწერილი პაციენტების კმაყოფილების ხარისხი საკმაოდ მაღალია. ჩვენთან უმძიმესი პათოლოგიების დროს სიკვდილიანობა ევროპაში ერთ-ერთი დაბალია, რაც ჩვენი ექიმებით არის განპირობებული“, – აცხადებს შოთა გოგიჩაიშვილი.

შოთა გოგიჩაიშვილი იმასაც გვიყვება, რომ საავადმყოფოს ულტრა თანამედროვე აპარატურა აქვს, რომელიც ისეთ სივიწროვეშია განთავსებული, ადამიანებს ოთახში გადაადგილების საშუალება არ აქვთ.

გოგიჩაიშვილი საავადმყოფოს სახელმწიფო მფლობელობაში არსებობის მნიშვნელობაზეც გვესაუბრა:

„იმ ერთეულ ჩამონათვალ სამედიცინო დაწესებულებებში ვართ, რომელიც სახელმწიფოს მფლობელობაშია და ჩემი აზრით, სწორადაც ვართ დარჩენილები, რადგან სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ერთი რეფერალური კლინიკა, რომელშიც თავის სტრატეგიას განახორციელებს. კერძოდ რომ გაიხსნას საავადმყოფო, ის ძალიან ბევრ სერვისზე უარს იტყვის, რადგან მომგებიანი არ იქნებოდა, სახელმწიფოს რაც სჭირდება, ის უნდა გავუკეთოთ იმ ფასად, რამდენსაც სახელმწიფო განსაზღვრავს“...

წლის განმავლობაში 50 000-ზე მეტი ამბულატორიული პაციენტია და 5 000-მდე სტაციონარული პაციენტი. არსებული პრობლემების გამო, მკურნალობის გარეშე რჩებიან შიდსითა და სხვა ინფექციებით დაავადებული პაციენტები და საფრთხე ექმნება C-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელებას.

„5 000-ზე მეტი შიდსიანი პაციენტი, რომელიც დღეს ჩვენთან მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არიან, მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა იყვნენ. ჩვენ რომ არ ვარსებობდეთ, ეს პაციენტები ქუჩაში დარჩებიან ყოველგვარი მეთვალყურეობის გარეშე, რაც ქვეყნისთვის დამღუპველ შედეგებს მოიტანს ეპიდემიოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პრობლემა, რომელიც შეიძლება ქვეყნას დაუდგეს. იგივე შეიძლება ითქვას მძიმე ინფექციებზე. არც ერთი კლინიკა არ იღებს ასეთ ადამიანებს, რადგანაც გამოცდილება აქვთ, არც ლაბორატორიული ბაზა, არც ის მედიკამენტები, რომელიც სჭირდება პაციენტის მოვლას“, – განაცხადა შოთა გოგიჩაიშვილმა.

ᲑᲐᲩᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐ



ᲡᲐᲙᲔᲘᲡᲠᲝ ᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ 17-ᲛᲓᲔ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝ ᲓᲐᲯᲐᲠᲘᲛᲓᲐ, 5-Ს ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲨᲔᲣᲩᲔᲠᲓᲐ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ **წლის პირველი მარტიდან დღემდე 17-მდე სამშობიარო დაწესებულება საკეისრო კვეთების რაოდენობის ზრდის გამო დაჯარიმდა, 5 კი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას გამოეთიშა. ამის შესახებ „კომერსანტს“ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსმა მაია მაღლაკელიძე-ხომერიკმა განუცხადა.**

მაია მაღლაკელიძე-ხომერიკის განცხადებით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2017 წლიდან დღემდე მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობის (საკეისრო კვეთების ხვედრითი წილის შემცირება ხელშეკრულებით განსაზღვრული პროპორციის მიხედვით) **დარღვევის გამო დაჯარიმდა შპს BROTHERS-ი, შპს ბაიები, სს ჩაჩავას კლინიკა, შპს „უნიმედი კახეთი“ – მ. იაშვილის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენრალური ჰისპიტალი, შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, შპს ახალი სამშობიარო ცენტრი, შპს დავით დავარაშვილის კლინიკა, შპს იმედის კლინიკა, შპს ხონელიძის კლინიკა, შპს მედკაპიტალი (გლდანის ფილიალი), შპს ქუთაისის №3 სამშობიარო სახლი, ქუთაისის ახალი, სამშობიარო სახლი და შპს ჰერა-2011.**

მისივე ინფორმაციით, სამეანო-ნეონატალური სერვისის მიმწოდებლის სტატუსი შეუწყდათ შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებს: შპს ნათელა პატარკაციშვილის სახელობის მრავლპროფილური კლინიკა „დედაშვილობა“, შპს „ოქროს საწმისი-XXI“, შპს პირველი საავადმყოფო, შპს საქართველოს საპატრიაქროს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი და შპს ივანე ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი.

კითხვაზე, 2017 წლიდან დღემდე რა დინამიკაა, ანუ საკეისრო კვეთების რაოდენობა მზარდია თუ კლებადია და რა მაჩვენებლებია? გარდა ამისა, მაგალითად, რეგულაციის ამოქმედებიდან დღემდე რამდენი პროცენტით შემცირდა ან გაიზრდა საკეისრო კვეთები და სად, რომელ რეგიონებში, მაია მაღლაკელიძე-ხომერიკის განმარტებით, საქართველოს მასშტაბით, 2017 წელს საკეისრო კვეთების ხვედრითი წილი არ შემცირებულა და 44.4%-ს შეადგენს. მისივე განმარტებით, აღნიშნული მაჩვენებლის კლების დინამიკა არ შეინიშნება.

მაია მაღლაკელიძე-ხომერიკის განმარტებით, საკეისრო კვეთების შემცირების ტენდენცია არ შეინიშნება, თუმცა, ერთი, რაც რეგიონალიზაციამ მოიტანა, რეგიონებში საკეისრო კვეთები შემცირებულია, რასაც ვერ ვიტყვით თბილისზე, ქუთაისსა და ბათუმზე.

როგორც ცნობილია, ჯანდაცვის სამინისტრო სამშობიარო კლინიკების სელექტიურ კონტრაქტირებას 2017 წლის პირველი მარტიდან ახორციელებს. კლინიკები, რომლებიც ვერ მიიღებენ სპეციალურ დონეს და წელიწადში მინიმუმ 500 მშობიარე არ ეყოლებათ, ვეღარ ერთვებიან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. რაც შეეხება ჯარიმების დაკისრებას, აღნიშნული სანქცია საკეისრო კვეთების რაოდენობის შემცირების არდაფიქსირების შემთხვევაში წესდება.

როგორც მაია მაღლაკელიძე-ხომერიკი აცხადებს, მომავალი წლის 1 აპრილისთვის ხელშეკრულება არ გაუგრძელდებათ იმ კლინიკებს, ვისაც 1 წელში 750 საკეისრო კვეთა არ ექნება ჩატარებული. საუბარია, თბილისზე, ბათუმსა და ქუთაისზე.

მაია მაღლაკელიძე-ხომერიკი რამდენიმე თვის წინ აცხადებდა, რომ ჯარიმის თანხა შემდეგნაირად დაიანგარიშება: საკეისრო კვეთების რაოდენობის ლიმიტსა (800 ლარი) და მშობიარობის ლიმიტს (500 ლარი) შორის სხვაობა (300 ლარი) მრავლდება იმ საკეისრო კვეთების რაოდენობაზე, რომლებიც სამედიცინო ჩვენების საფუძველზე ჩატარდა. მოქმედი კანონმდებლობით ფიზიოლოგიურ მშობიარობას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 500 ლარით აფინანსებს, საკეისროს კი 800 ლარით. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ საკეისრო კვეთა კეთდება არა სამედიცინო ჩვენებით (როცა ფიზიოლოგიური მშობიარობა დედის ან ბავშვის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის), არამედ მშობიარის მოთხოვნით, სახელმწიფო იხდის არა 800 ლარს, არამედ ფიზიოლოგიური მშობიარობისთვის განსაზღვრულ თანხას – 500 ლარს.

ხომერიკის განმარტებით, აღნიშნული სანქცია სამშობიარო კლინიკებთან დადებულ ხელშეკრულებებში 2017 წლის 1 მარტიდან ჩაიდო და ეკისრება იმ კლინიკებს, სადაც საკეისრო კვეთების პროცენტული მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდში არ შემცირდა. ეს პერიოდი თავდაპირველად ექვსი თვით განისაზღვრებოდა, მთავრობის ახალი, 180-ე დადგენილების თანახმად კი სანქციები ერთწლიან მონაცემებზე დაყრდნობით დაიანგარიშება.

ᲡᲝᲤᲝ ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲘ

◎ ლეგიონერი

„სან ხოსეში“ კაშია წარადგინეს



ამერიკული MLS-ის ბინადარმა „სან ხოსემ“ საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი გურამ კაშია ოფიციალურად წარადგინა. ქართველი ფეხბურთელი „მიწისძვრების“ წევრი ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ გახდა, თუმცა, კუთვნილი შვებულება ჰქონდა და ამერიკაში ორი დღის წინ ჩავიდა.

კაშიას წარდგენას ესწრებოდა ვაკო ყაზაიშვილიც, რომელიც „სან ხოსეს“ რიგებში უკვე მეორე სეზონია თამაშობს.

ამრიგად, საქართველო MLS-ში ორი ფეხბურთელით იქნება წარმოდგენელი. კაშია ახალ გუნდში მისთვის ჩვეული 37 ნომრით ითამაშებს.

გიორგი შოთაძე

◎ წყალბურთი

მარცხით დაიწყეს

16 საუკეთესო გუნდი მონაწილეობს კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში დაწყებულ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის 33-ე ჩემპიონატის ფინალური ეტაპაზე. წილისყრით ისინი ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ.

საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი უნგრეთთან გამართა, რომელიც ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონია, სამ-სამჯერ ვერცხლის და ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა, ევროპის ჩემპიონატებზე – 12 ოქროს, 6 ვერცხლის, ამდენივე ბრინჯაოს, მსოფლიოზე – 3 ოქროს, 7 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული. ბარსელონამდე ჩვენი გუნდი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხუთჯერ შეხვდა მადიარებს და ყველა მატჩი წააგო (შესაბამისად, 10:17, 3:14, 10:20, 5:18 და 5:16).

საქართველო – უნგრეთი 5:12 (1:3, 2:2, 2:3, 0:4)

საქართველო: შუბლაძე, ქავთარაძე (1), ცრეპულია (2), იმნაიშვილი, ბითაძე (1), ელაჩა, ჯახაია, ბაღათურია, რურუა (1), გეგელაშვილი, მაგრაქველიძე, მესხი, რაზმაძე.

უნგრეთი: ნადი, ენდიალი, მანჰერზი (1), ზალანკი (2), ვამოში (2), მეზეი, იანსიკი, კოვაჩი (2), ერდელი (1), ბატორი (3), ბედო (1), პოლი, ფოგელი.

სასტარტო პაექრობაშიც ფავორიტები, ცხადია, უნგრელები იყვნენ, მაგრამ სამი პერიოდის განმავლობაში ქართველებმა მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მეტიც, ამ მატჩში ანგარიში ჩვენებმა გახსნეს, თუმცა, ორთაბრძოლის მიწურულს რევაზ ჩომახიძის შეგირდებს დაღლა დაეტყოთ და მადიარებმაც სასურველს მიაღწიეს. ორთაბრძოლის შემდეგ უნგრელთა მწვრთნელმა ტამაშ მაარზმა საქართველოს ნაკრებს კარგი თამაში მიულოცა – შესვენების მერე უფრო სწრაფი და აგრესიული პაექრობით გავიმარჯვეთო, თქვა. **„ამ ტურნირისთვის დიდხანს ვემზადებოდით და ნებისმიერი ნაკრების წინააღმდეგ უპრობლემოდ შეგვიძლია თამაში, თუმცა, არ ვფიქრობ, რომ ფავორიტები ვართ, რადგან ჩემპიონატზე ბევრი ჩვენზე უკეთესი გუნდია. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ფინალში გასვლა შეგვიძლია“,** – დასძინა მან.

„ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რომ კარგად გვეთამაშა და მატჩის დასაწყისში ერთგვარ უპირატესობასაც მივაღწიეთ, მაგრამ ობიექტურად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ისეთი შესანიშნავი გუნდის დამარცხება, როგორიც უნგრეთია“, – ეს კი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის – რევაზ ჩომახიძის სიტყვებია.

პირველი ტური:

A **ჯგუფი.** უნგრეთი-საქართველო 12:5, იტალია – გერმანია 14:1.

B **ჯგუფი:** მონტენეგრო – საფრანგეთი 8:6, მალტა – ესპანეთი 4:21.

C **ჯგუფი:** თურქეთი – საბერძნეთი 1:27, ხორვატია – ჰოლანდია 15:8.

D **ჯგუფი:** რუსეთი – სლოვაკეთი 12:6, სერბეთი – რუმინეთი 11:5.

შეჯიბრების მონაწილეებმა გუშინ დაისვენეს. საქართველოს ნაკრები დღეს გერმანიის ეროვნულ გუნდს შეხვდება

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

ქართველები ჩამოქვეითდნენ

წინა ორი კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. ფაქტობრივად, ყველა ჩვენებური კლასიფიკაციაში ჩამოქვეითდა, ზოგიერთი საგრძნობლადაც. საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა 74-ედან 82-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ქალები

ერთეულები. 267 (257). ეკატერინე გორგოძე (189), 437 (429). მარიამ ბოლქვაძე (81), 440 (425). სოფიო შაფათავა (79), 902 (921). სალომე დევიძე (14), 1063 (1059). ზოია ქარდავა (7), 1209 (1209). ოქსანა კალაშნიკოვა (3).

წყვილები. 63 (64). ოქსანა კალაშნიკოვა (1180), 193 (195). სოფიო შაფათავა (361), 296 (293). ეკატერინე გორგოძე (224), 721 (647). მარიამ ბოლქვაძე (40), 770 (774). თათია მიქაძე (34), 825 (828). სალომე დევიძე (29).

ვაჟები

ერთეულები. 82 (74). ნიკოლოზ ბასილაშვილი (715), 1184 (1093). გიორგი ცივაძე (6), 1324 (1265). ალექსანდრე ბაქში (3), 1462 (1456). ალექსანდრე მეტრეველი (2), 1606 (1606). გიორგი ჯავახიშვილი (1), 1929 (1928). ვაჟა შუბლაძე (1).

წყვილები. 212 (212). ნიკოლოზ ბასილაშვილი (315), 1047 (1053). ალექსანდრე მეტრეველი (24), 1092 (965). გიორგი ცივაძე (22), 1471 (1193). ალექსანდრე ბაქში (6).

წინა კვირას თელავში გამართულ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე ალექსანდრე ბაქშმა და გიორგი ცივაძემ წყვილთა პაექრობა მოიგეს, ხოლო ალექსანდრე მეტრეველი ერთეულებში მეორე იყო. გუშინ თელავში ახალი 15.000-იანი ტურნირი დაიწყო, რომლის მთავარ ბადეში ოთხი ქართველია – გიორგი ცივაძე, ალექსანდრე მეტრეველი, ალექსანდრე ბაქში და ნიკოლოზ დავლიანიძე. წყვილებში ჩვენი ორი დუეტი ითამაშებს: ალექსანდრე ბაქში, გიორგი ცივაძისა და ნიკოლოზ დავლიანიძე, მიხაილო კვანტალიანის ტანდემები.

ლექსო ცინცაძე

რაგბი ჩვენი თამაშია!

გრემისა და ჰარისის გარეშე

ავსტრალიელი სპეციალისტები – რიჩარდ გრემი (ხაზის) და ბრედ ჰარისი (შერკინების) **„ბორჯღალოსანთა“ სამწვრთნელო შტაბის წევრები აღარ არიან.**

ამ გადაწყვეტილების შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ და „ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა მილთონ ჰეიგმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე ამცნეს.

ავსტრალიელებთან თანამშრომლობის შეწყვეტის მიზეზად კომუნიკაციის ნაკლებობა დასახელდა, რისი შედეგიც ბოლო 6 თვეში, განსაკუთრებით კი ივნისის ტესტებზე გამოჩნდა.

გოჩა სვანიძის თქმით, მსოფლიო თასამდე ერთი წლით ადრე ნაკრებში ცვლილებები აუცილებელი გახდა და ახალ მწვრთნელთა ვინაობა მალე გახდება ცნობილი:

„მაის-ივნისის ტურნეს და ტესტ-მატჩებს წარმატებულს ვერ დავარქმევთ. საუბარია არა მხოლოდ შედეგზე, არამედ თამაშის ხარისხზეც, რამაც რაგბის კავშირისა და ნაკრების ხელმძღვანელობა კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანა. გასულ კვირაში საკითხი განიხილა სრკ-ს გამგეობამაც და ვაცხადებთ, რომ ბრედ ჰარისმა და რიჩარდ გრემმა საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი დატოვეს.

ეს არ იყო მარტივი გადაწყვეტილება, რადგან მსოფლიო თასამდე ერთი წელია დარჩენილი, თუმცა, ვფიქრობთ, რომ თავიდან უარესი შედეგი ავიცილეთ და ახლა სიტუაციის გამოსწორების მეტი შანსი გვაქვს. მწვრთნელებმა ჩვენი გადაწყვეტილება სწორად გაიგეს და ჩვენ მათ მომავალში წარმატებებს ვუსურვებთ.

ორივე მწვრთნელი მაღალი დონის სპეციალისტია, განსაკუთრებით გრემი, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც მწვრთნელებსა და მოთამაშეებს შორის კომუნიკაცია იკარგება. არა მხოლოდ ივნისში, თითქმის მთელი წლის განმავლობაში ნაკრების თამაშის ხარისხში ხარვეზები შეინიშნებოდა და ამას შესანიშნავად ხედავდა გულშემატკივარიც“.

ამის შემდეგ სიტყვა მილთონ ჰეიგმა აიღო და შეფასებასთან ერთად ჟურნალისტთა კითხვებსაც უპასუხა:

„ბუნებრივი პროცესია, როდესაც იმედგაცრუების და წაგებების შემდეგ მწვრთნელი უკმაყოფილოა და ისიც ბუნებრივია, რომ ასეთ სიტუაციაში რომელიმე მწვრთნელს თანამდებობის დატოვება უწევს. მოგეხსენებათ, ყველაფერი, რასაც ახლა ნაკრებისა და კავშირის ხელმძღვანელობა აკეთებს, ემსახურება 2019 წლის მსოფლიო თასისთვის სათანადოდ მომზადებას. მანამდე, ნოემბერში, გვაქვს უმნიშვნელოვანესი მატჩი იტალიასთან და უნდა მოხდეს ყველაფრის იდენტიფიცირება, რაც საჭიროა ამ საერთაშორისო შეხვედრის მოსაგებად.

არასასიამოვნოა, როდესაც მწვრთნელზე და ამ შემთხვევაში ორ მწვრთნელზე გიწევს იმის თქმა, რომ მან სამსახური დაკარგა, მაგრამ ჩემი, როგორც მთავარი მწვრთნელის მოვალეობაა, გუნდი მსოფლიო თასისთვის სათანადოდ მოემზადოს“.

„პასუხისმგებელი მეც ვარ“

ამავდროულად, ჰეიგი ფიჯისა და იაპონიასთან ნაჩვენები შედეგისთვის პასუხისმგებლობას არც თავად გაურბის:

„ავსტრალიელ მწვრთნელებთან ერთად ივნისის წარუმატებელ კამპანიაზე პასუხისმგებლობას მე და მოთამაშეებიც ვინაწილებთ. ჩემი მოვალეობა თამაშის ორგანიზებაა და როგორც მოგებაა ყველას დამსახურება, ასევე წაგებაზე ყველა ვინაწილებთ პასუხისმგებლობას“.

ამის შემდეგ ჰეიგმა შესაძლო ასისტენტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ კონკრეტული კანდიდატები ჯერჯერობით შერჩეული არ არიან:

„ახალი მწვრთნელების მოსვლით ნაკრების თამაშში გენერალური ცვლილებები არ მოხდება. რა თქმა უნდა, ჩვენ გავითვალისწინებთ მათ ხედვებს, თუმცა, ძირითადი მიმართულება შენარჩუნდება. ახალი მწვრთნელების მოძიება არ იქნებოდა მართებული, სანამ გრემთან და ჰარისთან დაკავშირებული პროცესები არ დასრულდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი გუშინ დასრულდა და ახლა ვიწყებთ მათი შემცვლელების მოძიებას. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ახლები სამხრეთ ნახევარსფეროდან იქნებიან თუ ჩრდილოეთიდან. მთავარია ისინი საქართველოს ნაკრებისთვის საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ“.

ივნისის ტურნეს დასრულების შემდეგ ჰეიგი პირველად შეხვდა ჟურნალისტებს და ფიჯისა და იაპონიის ნაკრებებთან თამაშები შეაფასა:

„ფიჯისთან მეორე ნახევარში გარკვეული სტრუქტურული და ინდივიდუალური შეცდომები გვქონდა. რაც შეეხება იაპონიას, მხოლოდ ამის ბრალი არ იყო, მაგრამ ძალიან რთულ კლიმატურ პირობებში მოგვიწია თამაში. ჩვენი მიზანი იყო, რომ მეტოქე მიწაზე თამაშში ფიზიკურად დაგვეჯაბნა, მაგრამ მოხდა პირიქით, რაც ერთგვარი შოკი იყო. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ვეთამაშეთ გუნდს, რომელიც მუდმივად ვითარდება ზე-რაგბიში, ჩვენ კი ვართ იქ, სადაც ვიყავით“.

კოზირები არ გავხსენით

ჰეიგს კითხვა ივნისის ტურნეზე ნომინალური 8 ნომრის არყოლაზე და შერკინებაში არსებულ პრობლემებზე დაუსვეს, რაზეც მწვრთნელმა უპასუხა:

„ბექა ბიწაძე და ლაშა ლომიძე ვერ წავიყვანეთ, რადგან სათანადო კონდიციებში არ იყვნენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნომინალური 8 ნომრის გარეშე, შესაძლოა მსოფლიო თასზეც აღმოვჩნდეთ და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. რაც შეეხება შერკინებას, ფიჯი 2015 წლის მსოფლიო თასამდე ერთობლივი წვრთნისასაც მაგრად მოგვაწვა და ეს მოულოდნელი არ იყო. ორი წლის წინათ ჩვენ ფიჯის სუვაში დამაჯერებლად მოვუგეთ და მათ მთელი ეს ორი წელიწადი ჩვენთან მოგება სურდათ. ჩვენის მხრივ, 2019 წლის მსოფლიო თასისთვის ვემზადებით და კოზირები ბოლომდე არ გავხსენით. ფიჯი ამ თამაშისთვის განსაკუთრებით მოემზადა და მიიღო ის, რაც სურდა. ჩვენც მივიღეთ ის, რისი სურვილიც გვქონდა“.

ახალი სახეები

28 ივლისსა და 3 აგვისტოს თბილისის „მიხეილ მესხის“ სტადიონი საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, რომელშიც საქართველო XV, არგენტინა XV, ბრაზილიის ეროვნული ნაკრები და ტოპ 14-ის პარიზული კლუბი „რასინგი“ ითამაშებენ. ჰეიგი ამბობს, რომ ამ თამაშებს ყურადღებით დააკვირდება და არაა გამორიცხული, რამდენიმე საინტერესო მოთამაშე შეარჩიოს:

„რამდენიმე მოთამაშე, რომელთაც ზაფხულის ტურნეს დროს შესაძლებლობა და სათანადო სათამაშო დრო არ მიეცათ, ამ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას და თავის გამოჩენის შესაძლებლობა ექნებათ. განვითარების კუთხით ესაა შესანიშნავი ტურნირი. სხვა მოთამაშეებსაც დავაკვირდებით და არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე მათგანი მსოფლიო თასის წინ გაფართოებულ შემადგენლობაში ვიხილოთ“.

ჰეიგი შესანიშნავს უწოდებს უმცროს „ბორჯღალოსანთა“ მიერ ნაჩვენებ შედეგს და ამბობს, რომ შანსს ამ გუნდის წევრებიც მიიღებენ:

„გელა აფრასიძე უკვე არის ჩვენი გუნდის წევრი და ეს მსოფლიოს ჩემპიონატიც ბრწყინვალედ ჩაატარა. გარდა ამისა, არის თედო აბჟანდაძე, რომელმაც განსაკუთრებული თამაში აჩვენა. მას რამდენჯერმე მოუწია ეროვნულ ნაკრებთან ერთად ვარჯიში. ეს ორი მოთამაშე იყო ამ ჩემპიონატის ტოპ-მოთამაშე და კიდევ რამდენიმემ გამოიჩინა თავი, მაგრამ, მოდით, ერთი რამ გავითვალისწინოთ: ტოპ ვარსკვლავობა 20-წლამდელებში არ ნიშნავს ვარსკვლავობას უმაღლეს საერთაშორისო დონეზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ბიჭებს დავაკვირდებით და შესაბამისი განვითარების პირობებში შანსსაც აუცილებლად მივცემთ“.

კობა კობახიძე

ხსოვნა

წავიდა ჩვენგან სამარადისო სასუფევლის გზაზე მართალი სიტყვის და ბასრი კალმის რაინდი

თამაზ წივწივაძე

ვუსამძიმრებთ ოჯახს და მთლიანად საქართველოს.

საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე ვაჟა მეტრეველი.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი პუბლიცისტის, მწერლის, კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის

თამაზ წივწივაძის

გარდაცვალებას. სამძიმარს უცხადებს და ამ ტრაგიკულ დღეებში გვერდით უდგას განსვენებულის ოჯახსა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

ილიას სახ. უნივერსიტეტის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მკვლევარი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

მზია ქუმსიაშვილი

მზია ქუმსიაშვილი დაიბადა 1938 წლის 28 მარტს. თსუ, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა 1961 წელს ასტრონომიის სპეციალობით. იმავე წელს დაიწყო მუშაობა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1991-2007 წლებში ხელმძღვანელობდა ცვალებად და არასტაციონარულ ვარსკვლავთა განყოფილებას.

1998 წელს მ. ქუმსიაშვილი არჩეული იქნა ევროპის ასტრონომიული კავშირის წევრად.

1997-2005 წლებში ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში (ასტრონომიის კათედრა) ლექციებს უკითხავდა ასტრონომიის სპეციალობის მაგისტრანტ სტუდენტებს, მისი მონაწილეობითა და რედაქტორობით გამოცემული სახელმძღვანელოს „ცვალებადი ვარსკვლავები“ მიხედვით.

მზია ქუმსიაშვილის კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მჭიდრო ორჯერადი ვარსკვლავები და სხვა ცვალებადი ობიექტები... იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა მრავალ საერთაშორისო ასტრონომიულ ორგანიზაციასთან და მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო დარგობრივი მუშა ჯგუფების მუშაობაში.

სანთელი



საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია და სს ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ საქართველოს მეან-გინეკოლოგთა რიგებს გამოაკლდა თვალსაჩინო წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლერი ხონელიძე

ქუთაისის მეან-გინეკოლოგთა სახელოვანი სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა ბრწყინვალე წარმომადგენლის სიმრავლით, ბატონი ლერი იყო ამ ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელი. მრავალი წლის მანძილზე ის წარმატებით ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს მეან-გინეკოლოგთა სამსახურს, როგორც მთავარი მეან-გინეკოლოგი, სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი, რასაც ბრწყინვალედ უთავსებდა დაუღალავ საზოგადოებრივ საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და ამავე დროს იყო უაღრესად მაღალი დონის პრაქტიკოსი ექიმი. ბატონი ლერი იყო რაინდული სულისკვეთების ადამიანი. სწორედ ამ მაღალი თვისებების აღსანიშნავად ლერი ხონელიძის 70 წლისთავზე საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაციის პრეზიდიუმმა დაწესა „საქართველოს მედიცინის რაინდის წოდება“ და იგი პირველს მიანიჭა ბატონ ლერი ხონელიძეს.

ვიზიარებთ მისი ოჯახის ღრმა მწუხარებას. ნათელში ამყოფოს მისი სული.

სპარტაკ ქობულია ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა დასავლეთ საქართველოსა და ქუთაისის მთავარი მეან-გინეკოლოგი, დიდებული პროფესიონალი, „საქართველოს მედიცინის რაინდის“ წოდების პირველი მფლობელი, ქუთაისის ჭეშმარიტი კოლორიტი, საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება

ლერი ხონელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, სამეგობროს და საანთესაოს.

გარისკავენ კი უცხოელები საქართველოში ჩამოსვლას?

„პატრულმა ტურისტებს უნდა მოაშოროს ბოშები და მათხოვრები, რომლებიც აფურთხებენ, წყალს ასხამენ და ტალახს უსვამენ“

რამდენად არიან ტურისტები დაცულნი საქართველოში, შეიძლება თუ არა ერთი ტრაგიკული ფაქტის მიხედვით ვიმსჯელოთ საქართველოში არსებულ სიტუაციაზე და რა გავლენას იქონიებს ხადას ხეობაში მომხდარი ტრაგედია ტურისტულ ნაკადზე?! ამის შესახებ For.ge-ს საქართველოს ტუროპერატორთა ასოციაციის თავმჯდომარე **ია თაბაგარი** ესაუბრა.

ხადას ხეობაში დაღუპული სმიტების ოჯახი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა და ბიზნესითაც იყო დაკავებული, მაგრამ მათი ტრაგედიის შემდეგ საინტერესოა, სიფრთხილის მოყვარული უცხოელები გარისკავენ თუ არა საქართველოში ჩამოსვლას?

— პირველ რიგში, ეს თითოეული ჩვენგანის ტრაგედიაა და მეც მინდა, მივუსამძიმრო დაღუპულების ახლობლებს. ჩვენმა საზოგადოებამ მომხდარი ფაქტი ძალზე მტკივნეულად მიიღო, რაც სრულიად ადეკვატური იყო. თუმცა მიმაჩნია, რომ ეს ტრაგედია საქართველოში შემოსულ ტურისტთა ნაკადს არ შეამცირებს. უბრალოდ, გააჩნია, ნაკადებს, ვინაიდან ჩვენთან ტურისტების უმეტესობა არის ახლო აღმოსავლეთიდან, ინდოეთიდან, რუსეთიდან. მათ ეს ფაქტი არ შეაჩერებთ. იმ ტურისტების ყურამდე თუ მივიდა ეს ინფორმაცია, ვინც მთაში წასვლას აპირებს კარვით, ალბათ, ისინი ბევრად ფრთხილად იქნებიან. რაც შეეხება დასავლეთ ევროპიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან ჩამოსულ ტურისტებს, მათზე ეს ინფორმაცია ძალზე უარყოფითად იმოქმედებს, რადგან ისინი ბევრად ყურადღებიანი არიან. თავისთავად, საელჩო გამოაცხადებს გაფრთხილებას საქართველოში მცხოვრები ამერიკელი ოჯახებისთვის, ამერიკელი მოგზაურებისთვის და თვითონ საელჩო დააწესებს გარკვეულ შეზღუდვებს. შეიძლება, ისინი გააფრთხილონ, თუ წახვალთ ასეთ პირობებში, მაშინ ჩვენ ვერ ვაგებთ თქვენზე პასუხსო.

— მსგავსი ტრაგიკული შემთხვევების შესახებ კარგა ხანია, არაფერი გვსმენია. ტურისტებისთვის ასეთი გაფრთხილება აუცილებელი იქნება?

— მართალია, ბოლო დროს ასეთი ფაქტები არ მომხდარა, მაგრამ იყო დრო, როცა საქართველოში აყაჩაღებდნენ ტურისტებს, ასევე, იყო რეგიონები, სადაც ამერიკის საელჩო თავის მოქალაქეებს არ ურჩევდა მოგზაურობას. როგორც კი ამერიკის საელჩო გამოაცხადებდა ხოლმე ასეთ გაფრთხილებას, მაშინვე ამას მოჰყვებოდა ძირითადად ინგლისურენოვანი სამყაროს მხრიდან თავშეკავება. ეს იყო დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია და ა.შ. საქართველომ ეს ნაბიჯი ერთხელ უკვე გაიარა. ზუსტად ერთი ნაბიჯი გვაკლია იქამდე, რომ ისევ შემობრუნდეს ეს ყველაფერი, რაც ძალიან სამწუხარო იქნება.

სახელმწიფო უნდა იყოს ყურადღებით, რადგან ტურისტული ნაკადი ძალიან დიდია და ქვეყანა მოუმზადებელია. არ არსებობს უსაფრთხოების პრევენცია. სადაც ცოტა ტურისტია, იქ იშვიათად ხდება მსგავსი რაღაცები, ხოლო, სადაც ბევრი ტურისტია, უფრო ხშირია ასეთი ფაქტები. წელს უკვე იმდენი ტურისტი დაიღუპა, ირანელების ოჯახი გადაცვივდა კვადროციკლით, უკრაინელები მდინარე ჭოროხზე ჯომარდობისას დაიღუპნენ. რამდენი იყო კიდევ ავტოსაგზაო შემთხვევა. მთელი სეზონი ჯერ წინ არის და გულის ფანცქალით ველით, კიდევ რა უნდა მოხდეს. გვეშინია წინასწარ, ცხადია, ამ ყველაფრის საფუძველი უნდა მოვძებნოთ. ჩვენმა ქვეყანამ უნდა შექმნას უსაფრთხოების სტრატეგია. ეს ეხება განათლების სამინისტროსაც იმ კუთხით, რომ სკოლიდანვე ასწავლონ ბავშვებს, რა არის საყოფაცხოვრებო უსაფრთხოება.

— უსაფრთხოება ახსენეთ და კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს ამისთვის? პატრულმა უნდა მიაცილოს ტურისტები?

— რასაკვირველია, არა. პატრულმა თუ მიაცილა, პოლიციური ქვეყანა გამოვალთ. ასე, ძველ თბილისშიც დადის პატრული, ახლა გვეუბნებიან, ისინი დაეხმარებიანო ტურისტებს, მაგრამ პატრულის საქმე არ არის ტურისტის დახმარება. პატრული რაში დაეხმარება ვიზიტორს? თბილისის ისტორიას მოუყვება ტურისტს, თუ ქუჩებს ასწავლის? თავისი კონკრეტული მიზანი უნდა ჰქონდეს პატრულს, ისინი უფრო კრიმინალებს უნდა ამოწმებდნენ. პატრულმა ტურისტებს უნდა მოაშოროს თავდასხმა ბოშებისა და მათხოვრებისგან, რომლებიც მათ ეკიდებიან, აფურთხებენ, წყალს ასხამენ და ტალახს უსვამენ.

— უცხოეთში ტურისტებად ჩასული საქართველოს მოქალაქეები რამდენად არიან დაცულნი მსგავსი ფაქტებისგან? თუკი აჭარაში რამდენიმე წლის წინ შემოსულმა ირანელმა ვიზიტორმა 16 წლის გოგონა სადისტურად მოკლა, ვინ დაიცავს ჩვენს მოქალაქეებს საზღვარგარეთ?

— ასეთი რამ ყველგან ხდება. ზოგან დაცულნი არიან ტურისტები, ზოგანარა. წარმოიდგინეთ ქვეყანა, სადაც ამდენი მილიონი ტურისტი შემოდის და ამდენი მთიანი რეგიონია, მას არ უნდა ჰყავდეს სამაშველო ვერტმფრენები, რომლებიც მთაში უზრუნველყოფს სამაშველო სამუშაოს?! გამოდის, რომ ჩვენ ვუშვებთ ტურისტებს და ამ დროს ამისთვის მოუმზადებელნი ვართ. მე მინახავს მაშველები ქვემო სვანეთში, ზემო სვანეთში, იცით, რომ მათ აღჭურვილობაც არა აქვთ? საკუთარი ნაყიდი ფანრებით დადიან, არც წესიერი ფეხსაცმელი აქვთ და არც თოკი. ელემენტარულს გეტყვით, ქალაქ სიღნაღში, ამ ისტორიულ-კულტურულ ქალაქში თავისი ძველი არქიტექტურით, უშუალოდ ქალაქის შიგნით დადის 40-მდე კვადროციკლი, რომელსაც გამონაბოლქვიც აქვს და აყრუებს კიდეც იქაურობას. ეს ხომ არანორმალურია, მაგრამ ვინმე ამას ამჩნევს და ცდილობს ამის გამოსწორებას?

— მთაში ჩადენილი საზარელი მკვლელობა ხომ არ გამოიწვევს ტურისტთა კონცენტრირებას დედაქალაქში. თბილისში უფრო დაცულად ხომ არ იგრძნობენ ისინი თავს?

— თუკი ტურისტი ჩათვლის, რომ საქართველოს მთიანეთი მისთვის საფრთხეს შეიცავს, ადგება და სხვა ქვეყანაში წავა. მისი ინტერესი თუ მაინცდამაინც მთაა, სხვა ქვეყნების მთებს მიაშურებს და არა — ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს.

მანანა ნოზაძე

28 წლის განმავლობაში საქართველოს ემიგრანტ მოქალაქეებს 200 000 ბავშვი შეეძინათ

დემოგრაფების მიერ გამოთვლილი არაოფიციალური მონაცემით, 1990 წლიდან 2018 წლის პირველი კვარტალის ჩათვლით, ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს (ან ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს) 200 000 ბავშვი შეეძინათ. უცხოეთში დაბადებული ემიგრანტი ბავშვების რაოდენობის ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, მიზეზი არის ის, რომ ქვეყნიდან წასული მოქალაქეების უმეტესობა უცხოეთში არალეგალურად ცხოვრობს.

აღნიშნული მონაცემიდან გამოკვეთილი ძირითადი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა რუსეთი, თურქეთი, ევროკავშირის ქვეყნები (საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი) და ამერიკაა.

როგორც „კომერსანტთან" საუბრისას „დემოგრაფიული აღორძინების ფონდის" თავმჯდომარე თამარ ჩიბურდანიძე აცხადებს, **უცხოეთში დაბადებული ჩვენი მოქალაქეების შვილების ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ვფიქრობთ, რომ უვიზო მიმოსვლის ამოქმედება დემოგარფებს ზუსტი სტატისტიკური მონაცემის დადგენაში დაეხმარება. ამის გარკვევას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება.**

თამარ ჩიბურდანიძის თქმით, ემიგრაციის გაზრდილი მაჩვენებელი ქართულ გენოფონდზე პირდაპირპროპორციულად აისახება. როდესაც მიგრაცია დროებითია, ეს ქვეყნისთვის საშიში არ არის, თუმცა უმეტეს შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეები, გასაგები მიზეზების გამო, უცხოეთში ცხოვრებას სამუდამოდ ან მოხუცებულების ასაკამდე გეგმავენ, რაც უკვე პრობლემაა.

„ეს საქართველოს მოსახლეობისთვის სერიოზული დანაკლისია.

უცხოეთში დაბადებული ქართველები ჩვენი ქვეყნის მიმართ ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენენ, თუმცა უფრო როგორც ტურისტები. ისინი სამშობლოში ძირითადად სტუმრების სახით დაბრუნდებიან. რაც უფრო მეტად იხსნება საქართველოს საზღვრები, გვჯერა, რომ საქართველოსთან მიზიდულობა კიდევ უფრო მეტი იქნება და ამ ბავშვების ნაწილი მაინც დაბრუნდება საქართველოში", — განაცხადა ჩიბურდანიძემ.

მისივე განცხადებით, უვიზო მიმოსვლას უარყოფითი მხარეც აქვს და ეს საქართველოდან მოქალაქეების გადინებას უკავშირდება. დღეის მდგომარეობით ქვეყნიდან გასული მიგრანტების რაოდენობა სხვა წლებთან შედარებით 4-ჯერ მეტია.

„კომერსანტის" კითხვაზე რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად? **თამარ ჩიბურდანიძე გვპასუხობს, რომ „ქვეყნიდან მიგრაცია უმეტესწილად ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს უკავშირდება. ხელისუფლებამ ყურადღება სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაამახვილოს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ასეც იქნება... საჭიროა დიასპორულ ორგანიზაციებთან მეტი კავშირი. მაგალითად, დღეს უკვე ამოქმედებულია უცხოეთში ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის დისტანციური სწავლება. უცხოეთში თითქმის ყველა ქალაქში დიასპორები გვყავს წარმოდგენილი და ისინი უცხოეთში დაბადებული ქართველების აღზრდაზე ზრუნავენ",** — თქვა თამარ ჩიბურდანიძემ.

ლიკა გურაბანიძე

ოფიციანტი რობოტი

რესტორანმა Drink and Spice Magicsџ Bur Dubai **მიმტანის პოზიციაზე რობოტი, სახელად „რუბი" დაასაქმა. რობოტი ერთი მაგიდიდან მეორე ადგილამდე სპეციალური ბილიკით გადაადგილდება და სტუმრებს ემსახურება.**

რუბი კლიენტების დაბადების დღეზე მღერის კიდეც.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი ცნობილი სახეები



ჟურნალ Forbes-**მა გამოაქვეყნა ყველაზე მაღალანაზღაურებადი ცნობილი სახეების სია.**

მსახიობებს შორის ყველაზე მეტი შემოსავალი აქვს ჯორჯ ქლუნს, რომელიც წელიწადში 239 მილიონ დოლარს იღებს. თუმცა, ეს მეტწილად უკავშირდება არა მის სამსახიობო კარიერას, არამედ მის ბიზნესს კომპანია Casamigos-დან. წერს Forbes-ი.

თუმცა, ცნობილი ადამიანების საერთო რეიტინგში ქლუნი იკავებს მხოლოდ მეორე ადგილს. მას უსწრებს ამერიკელი მოკრივე ფლოიდ მეივეზერი, რომელიც წელიწადში 285 მილიონ აშშ დოლარს გამოიმუშავებს. აღსანიშნავია, რომ არცერთი მათგანი არ იყვნენ რეიტინგში გასულ წელს.

მესამე ადგილზე აღმოჩნდა მოდელი კაილი ჯენერი 166,5 მილიონი დოლარით წელიწადში.

ასევე პირველ ათეულში მოხვდნენ ამერიკელი ადვოკატი ჯუდიტ შეინდლინი — 147 მილიონი, მსახიობი დუეინ ჯონსონი 124 — მილიონი, ჯგუფები U2 — 118 მილიონი და Casamigos — 115 მილიონი, ფეხბურთელი ლიონელ მესი — 111 მილიონი, მუსიკოსი ედ შირანი — 110 მილიონი და ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ — 108 მილიონი აშშ დოლარით წელიწადში.

დააკავეს რომის „მეფედ" წოდებული ავტორიტეტი

იტალიელმა კარაბინერებმა განაცხადეს ბოშათა 31-კაციანი კრიმინალური დაჯგუფების დაკავების შესახებ, კიდევ ექვსი ძებნაში იმყოფება.

მათ ბრალი ედებათ ნარკოტიკების კონტრაბანდაში და ფულის გამოძალვაში მაფიოზური მეთოდებით, რომელიც იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დამამძიმებელი გარემოებაა.

დაკავებები განახორციელეს იტალიის დედაქალაქში, ასევე ქვეყნის სამხრეთ პროვინციებში.

დაკავებულთა შორის არის დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი ჯუზეპე კაზამონიკა, რომელიც ერთი წლის წინათ გამოვიდა საპყრობილედან, სადაც სასჯელს ნარკოტიკების გამო იხდიდა.

ცნობისთვის, ის არის ერთ-ერთი, იმ ოთხი კრიმინალური ავტორიტეტიდან, რომელთაც რომის „მეფეს" უწოდებენ.

ვინ გაიღო ტრამპისა და პუტინის შეხვედრის ხარჯები?

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და რუსეთის ლიდერის ვლადიმერ პუტინის ჰელსინკში გამართული შეხვედრის ხარჯები ფინეთის სახელმწიფო საბჭომ გაიღო. განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა იუჰა სიპილამ.

მან სააგენტო STT-სთან მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ხარჯები ამერიკულ-რუსული სამიტის ჩასატარებლად ჰელსინკში, გასცა ფინეთის სახელმწიფო საბჭომ.

ამასთან, პრემიერ-მინისტრს არ დაუსახელებია ხარჯების საბოლოო თანხა.

სიპილამ აღნიშნა, რომ აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრამ ფინეთის რეპუტაცია გააძლიერა და თავად ლიდერებიც კმაყოფილები დარჩნენ.

აღსანიშნავია, რომ ორი ქვეყნის ლიდერებმა შეძლეს სამიტზე საერთო ენის პოვნა, თუმცა აშშ-სა და ევროპაში სამიტს საერთო ჯამში ნეგატიურად აფასებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4479; ევრო - 2.8660;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2462;
100 რუბლი - 3.9322; თურქული ლირა - 0.5052;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4438;
1000 სომხური დრამი - 5.0850.

ამინდი 18 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +34
მთიანი რაიონები -	ღამე +11,	დღე +31
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +12,	დღე +32
თბილისი:	ღამე +20,	დღე +32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge